საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი
5025
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი
5 ივნისი
1941 წ.
№ 130 (6135)
ფასი 15 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი ა:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (1-ლი გვ.).
ახლად არჩეული პარტორგანოების საბრძოლო ამოცანა (მოწინავე)
ახალ სესხზე ხელის მოწერით დავაჩქაროთ ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმისაკენ (1-ლი გვ.)
ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ მოსავლის აღებას (მე-2 გვ.)
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში (მე-2 გვ.)
პარტიული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის (მე-3 გვ.)
კონსტანტინე გამსახურდია — რომანიდან „დავით აღმაშენებელი“ (მე-3 და მე-4 გვ.).
უცხოეთში:
ამერიკის არმიის მანევრები (მე-4 გვ.)
ქალებისა და ბავშვების ევაკუაცია კვიპროსის კუნძულიდან (მე-4 გვ.).

ახლად არჩეული პარტორგანოების საბრძოლო ამოცანა

ანგარიშგება-არჩევნები უკვე დამთავრდა. პირველადს პარტორგანიზაციებში ახლად არჩეული პარტიული ორგანოების წინაშე პრაქტიკულად დაისვა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მიღებულ ღონისძიებათა განხორციელების ამოცანა. ეს ღონისძიებანი მთლიანად გამომდინარეობენ საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან, რომლებმაც პარტიული ორგანიზაციები მოაბრუნეს მრეწველობისა და ტრანსპორტის საკითხებისაკენ. ახლად არჩეული პარტორგანოების მუშაობა შეფასდება იმის მიხედვით, თუ როგორი წარმატებით განახორციელებენ ისინი XVIII პარტკონფერენციის გადაწყვეტილებებს. სამუშაო კი ბევრია, უაღრესად მიმზიდველი, ყოველდღიური.

პარტია გვასწავლის, რომ საჭიროა შესრულების სისტემატური შემოწმება.

ჩვენი პარტია ყოველთვის ამოწმებს მიღებულ დადგენილებათა შესრულებას, მის ხარისხს, შემჩნეულ ნაკლს სწრაფად აღმოფხვრის, ზუსტ და ნათელ ორიენტაციას იღებს ახალ სამუშაოთა წარმატებით განხორციელებაზე. დადგენილებათა ბოლშევიკური შესრულება გვიჩვენებს იმასაც, რომ ბოლშევიკის სიტყვა და საქმე ერთია.

ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ ათასობით აღზარდა ძალზე შესანიშნავ ადამიანთა, ბოლშევიკთა კადრები. ბევრი მათგანი ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოში არის არჩეული. ისინი აღჭურვილი არიან პარტიული მასის ნდობით. ეს ნდობა კი მათ აკისრებს იყონ ხალხის მსახურნი, წმინდად დაიცვან და შეინარჩუნონ ბოლშევიკის მორალური სახე.

იმისათვის, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მიღებული დადგენილება შესრულდეს, საჭიროა კონკრეტულად გესმოდეს საქმის ვითარება. პირველადი პარტორგანიზაციისა და პარტბიუროს მდივანი ვალდებულია არ მარტო კრებაზე მიღებული ღონისძიება იცოდეს, არამედ თავისი სამუშაო უბნის ყველა დეტალი კარგად ესმოდეს. იგი საფუძვლიანად უნდა ერკვეოდეს საწარმოს თუ დაწესებულების „წვრილმანებში“. საჭიროა დაეუფლოს ხელმძღვანელობის სტალინურ სტილს, პარტიული მუშაობის უაღრესად მრავალფეროვან ტექნიკას.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს პირველადი პარტორგანიზაციებისა და პარტბიუროების ახლად არჩეული მდივნების სემინარს. საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით ასეთი სემინარი უკვე შექმნილია და მუშაობს. პარტორგანოების ახლადარჩეული ხელმძღვანელი ამხანაგებისათვის 9 ივნისიდან მეცადინეობას დაიწყებს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის მიერ შექმნილი სემინარი. გათვალისწინებულია მეცადინეობის თემებიც — ძალიან საინტერესო და აუცილებელი. ორგანიზაციული საკითხები, აგიტაცია-პროპაგანდა, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, პარტიული დოკუმენტების გაფორმება და აღრიცხვა, წარმოებაზე კონტროლი — კიდევ რამდენი თემა შეიძლება! ამ საკითხებში კი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი სანიმუშოდ უნდა ერკვეოდეს.

განსაკუთრებით მეტი დახმარება უნდა გაეწიოს იმ ამხანაგებს, რომლებიც პირველად არიან არჩეული ხელმძღვანელ პარტორგანოებში და ჯერ კიდევ არა აქვთ საკმაო გამოცდილება. პარტიის რაიკომებმა და საქალაქო კომიტეტებმა ამავე დროს ყურადღების ცენტრში უნდა დააყენონ ის პირველადი პარტორგანიზაციები, სადაც მდივნის თუ პარტბიუროს მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდეს. ბუნებრივია, მათ მეტი დახმარება უნდა გაეწიოს. აქ უკვე ბევრია დამოკიდებული რაიკომისა და საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორის ოპერატიულ, უნარიან, ზუსტ მუშაობაზე.

რაიკომისა და საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი დიდი ნდობით არის აღჭურვილი. ინსტრუქტორს ეს ავალებს პარტიულ პასუხისმგებლობას — კონკრეტული დახმარება გაუწიოს მდივნისა და პარტბიუროს მუშაობას. იგი უაღრესად ახლოს, საქმიანად უნდა იყოს დაკავშირებული თავისი უბნის მთელ პარტიულ მუშაობასთან.

მთელ რიგ პირველადს პარტორგანიზაციებში ახლად არჩეული მდივნები და პარტბიუროები ერთიხანია უკვე პრაქტიკულად შეუდგნენ მუშაობას, განიხილეს საწარმოს აქტუალური საკითხები.

სისუფთავე და ელემენტარული წესრიგი, ტექნოლოგიური დისციპლინა, გრაფიკი, ინსტრუმენტების, მასალებისა და მოწყობილობის აღრიცხვა, მათი სწორი გამოყენება, ახალი ტექნიკა, ხელფასი, სტახანოვური მოძრაობა — ეს და მრავალი სხვა საკითხი, რომელთა შესახებ არის ლაპარაკი საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებებში, აგრეთვე საანგარიშო - საარჩევნო კრებებზე მიღებულ ღონისძიებებში, ახლად არჩეული ხელმძღვანელი პარტორგანოების ყოველდღიური ზრუნვის საგანს წარმოადგენს.

ეს კარგად შეიგნო, მაგალითად, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის ამწყობი საამქროს პარტბიურომ. ამ საამქროში წინათ იშვიათი არ იყო ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევა, რაც იწვევდა წუნდებული პროდუქციის გამოშვების ხშირ შემთხვევებს. ახლად არჩეულმა პარტბიურომ სერიოზულად შეისწავლა ეს საკითხი, გამოჰყო სპეციალური კომისია, ჩაატარა სათანადო მუშაობა და შედეგიც მივიღეთ: მუშაობა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა. ასეთივე შედეგი მოგვცა საწარმოს ყოველდღიური ცხოვრებით ბათუმის სავაგონო დეპოს პარტბიუროს პრაქტიკულმა დაინტერესებამ და ცოცხალმა საქმიანობამ: ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა ვაგონების რემონტის ხარისხი.

ანალოგიური ფაქტები მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ.

მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს ნაკლები ყურადღება მივაქციოთ მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს. იქ, სადაც ეს მუშაობა სათანადო სიმაღლეზეა, სხვა საკითხებიც წარმატებით წყდება.

ახლად არჩეული პარტორგანოების ამოცანაა ღრმად ჩასწვდნენ მრეწველობისა და ტრანსპორტის საკითხებს, ბოლშევიკურად იბრძოლონ საანგარიშო - საარჩევნო კრებებზე მიღებულ ღონისძიებათა შესრულებისათვის და პარტიულ-მასობრივი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებით უზრუნველჰყონ საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებათა სანიმუშო განხორციელება.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ო. ი. მაგიდსონის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

იმ ახალ სამკურნალო საშუალებათა გამოძებნისა და სამრეწველო ათვისების საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, რომლებიც ამჟამად ფართოდ არის გამოყენებული მკურნალობის დარგში, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის ჯანსახკომის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამეცნიერო - საკვლევო ქიმიკურ-ფარმაცევტული ინსტიტუტის პროფესორი ონისიმე იულიოსის-ძე მაგიდსონი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1941 წ. 3 ივნისი.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

გავიდა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაობის პირველი 10 დღე. ამ ხნის განმავლობაში მის სიმდიდრეს გაეცნო 230 ათასამდე კაცი.

3 ივნისს გამოფენას მოულოდნელი სტუმარი ეწვია. მოვიდა თოვლი, მაგრამ მალე გადნა. ღრუბლებში ივნისის მზე გამოჩნდა და გამოფენის ქალაქი გულმხურვალედ შეხვდა თავის მუდმივ სტუმრებს — ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეებს, მოსკოვის მუშებსა და მოსამსახურეებს, წითელარმიელებს, მოსწავლეებს.

ამ დღეს განსაკუთრებით ბევრი ხალხი იყო სამხრეთის პავილიონებში. უზბეკეთის სსრ პავილიონში ყურადღებას იპყრობდა დღის კინოეკრანი, სადაც ერთმანეთს სცვლიდნენ კადრები, რომელნიც უჩვენებდნენ რესპუბლიკის შესანიშნავ ოაზისებს, მინდვრებსა და ბაღებს.

შორეული აღმოსავლეთის პავილიონში მომსვლელნი დიდ ხანს ათვალიერებდნენ სტენდს, რომელიც მიძღვნილია მსოფლიოში ყველაზე მცირერიცხოვანი ხალხის — ტოფალარებისადმი. მათი რიცხვი სულ 500 კაცს უდრის (ირკუტსკის ოლქის ტოფალართა ნაციონალურ რაიონში). საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღორძინებულმა ამ მცირერიცხოვანმა ხალხმა ბედნიერად და კულტურულად იწყო ცხოვრება. იგი გაერთიანდა კოლმეურნეობა „წითელ მონადირეში“ უხვ საძოვრებზე ბალახობს 1.750-ზე მეტი ირემი. ყოფილი მომთაბარენი ახლა მარცვლეულისა და კარტოფილის უხვ მოსავალს იღებენ. დიდ შემოსავალს აძლევს მათ ბეწვიან მხეცზე ნადირობა.

3 ივნისი (საქდესი).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

საქართველოს სსრ კოლმეურნეობების, კოლმეურნე კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის კვერცხის სავალდებულო ჩაბარების რაიონობრივი ნორმების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცდეს კოლმეურნეობების, კოლმეურნე კომლებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის კვერცხის სავალდებულო ჩაბარების რაიონობრივი წლიური ნორმები (ცალობით):

რაიონები	კოლმეურნეობებ-ში 1 ჰექტარ სახნავზე	კოლმეურნეების კომლზე	ერთპიროვნული მეურნეობები მეურნეობაზე
აბაშის	5	75	100
აფხაზეთის ასსრ		75	100
აჭარის ასსრ		55	70
ადიგენის		55	70
ამბროლაურის		55	70
ასპინძის		55	70
ახალქალაქის		100	120
ახალციხის		55	70
ბაშკიჩეთის		100	120
ბოგდანოვკის		100	120
ბორჯომის		75	100
ბორჩალოს		100	120
ვანის		75	100
ვეგეჭკორის		75	100
გორის		75	100
გურჯაანის		75	100
დუშეთის		75	100
ზესტაფონის		55	70
ზემო-სვანეთის		55	70
ზუგდიდის		75	100
ყარაიის		100	120
ქარელის		75	100
ქვემო-სვანეთის		55	70
ყაზბეგის		55	70
კასპის		75	100
ყვარლის		75	100
ქუთაისის		75	100
ლაგოდეხის		75	100
ლანჩხუთის		75	100
ლუქსემბურგის		100	120
მახარაძის		55	70
მაიაკოვსკის		55	70
მცხეთის		75	100
ონის		55	70
ორჯონიკიძის		55	70
ფოთის		55	70
საგარეჯოს		100	120
სამტრედიის		75	100
საჩხერის		75	100
სიღნაღის		100	120
თბილისის		100	120
თეთრი წყაროს	5	100	120
თელავის		75	100
თიანეთის		100	120
ტყიბულის		55	70
ხაშურის		75	100
ხობის		75	100
ცაგერის		55	70
წალენჯიხის		55	70
წალკის		100	120
წითელ წყაროს		100	120
წულუკიძის		75	100
წყალტუბოს		75	100
ცხაკაიას		75	100
ჭიათურის		55	70
ჩოხატაურის		55	70
ჩხარის		75	100
ჩხოროწყუს		55	70
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი		75	100

2. დაწესდეს, რომ 1941 წელს კოლმეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის კვერცხის სავალდებულო ჩაბარების რაიონობრივი ნორმები დროებით გამოიანგარიშება შეღავათით, სახელდობრ, ამ დადგენილებით დამტკიცებული ნორმების 60 პროცენტის რაოდენობით.

3. კოლმეურნეობების მიერ კვერცხის სავალდებულო ჩაბარების დაწესებული რაიონობრივი ნორმები შეუფარდდეს, როგორც წესი, რაიონის ყველა კოლმეურნეობას.

ცალკეული კოლმეურნეობებისათვის, სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს სს რესპუბლიკის რწმუნებულის დასტურით, გამონაკლისის წესით დაშვებულ იქნას კვერცხის სავალდებულო ჩაბარების რაიონობრივი წლიური ნორმის გადიდება ან შემცირება 30 პროცენტის ფარგლებში ისე, რომ ამასთანავე აუცილებლად დაცულ იქნას საშუალოდ რაიონისათვის დამტკიცებული კვერცხის სავალდებულო ჩაბარების წლიური ნორმა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ჩარკვიანი

1941 წლის 4 ივნისი.

დამთავრდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეორე ტომის ბეჭდვა

ლენინგრადის ა. მ. გორკის სახელობის სტამბამ „პეჩატნი დვორმა“ 3 ივნისს დაამთავრა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის მეორე ტომის ბეჭდვა. დაბეჭდილია 500 ათასი ეგზემპლარი. სტამბა ყოველდღე აბარებს „კოგიზის“ წიგნის ბაზას 20 ათას წიგნს.

ამავე დროს დაიწყო ვ. ი. ლენინის ნაშრომთა მესამე ტომის ბეჭდვა. აწყობილია და დასაბეჭდად მზადდება IV, V და VI ტომი.

3 ივნისი (საქდესი).

ფინეთის დესპან ბ-ნ ი. პაასიკივის მიერ გაწვევის სიგელის გადაცემა

ა. წ. 3 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო ფინეთის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნ ი. პაასიკივი, რომელმაც მას გაწვევის სიგელი გადასცა.

მოსკოვს ჩამოვიდა სლოვაკიის დესპანი ბ-ნი ი. შიმკო

2 ივნისს მოსკოვს ჩამოვიდა სლოვაკიის ახალი საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი ი. შიმკო.

ბელორუსიის ვაგზალზე ბ-ნ ი. შიმკოს შეხვდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი და სლოვაკიის მისიის შემადგენლობა.

ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა განკარგულება გასცა სსრ კავშირის ფარგლებიდან უცხოელი ჟურნალისტის მოქ. ჯონ სკოტის გაძევების შესახებ, რომელმაც ინგლისური გაზეთის „ნიუს-ქრონიკლის“ ფურცლებზე დაბეჭდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ცილისმწამებლური სტატიები.

საბავშვო სასპორტო სკოლები

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა დაამტკიცა დებულება საბავშვო სასპორტო სკოლების შესახებ. ეს სკოლები შეიქმნება სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულ განყოფილებებთან, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტებთან, შრომითი რეზერვების საქალაქო სამმართველოებთან, პიონერთა სასახლეებთან და სახლებთან.

1939 წელს სსრ კავშირის ქალაქებში მუშაობდა 140 საბავშვო სასპორტო სკოლა, ხოლო 1941 წლის დამდეგისათვის მათი რიცხვი უკვე 300 აღემატებოდა. დაახლოებით 50 ათასი ნორჩი ფიზკულტურელი საშუალო სკოლაში სწავლისაგან თავისუფალ დროს ხელოვნდებოდა აქ სასპორტო ოსტატობაში. ახლა საბავშვო სასპორტო სკოლების ქსელი კიდევ უფრო ფართოვდება.

სკოლების ამოცანას წარმოადგენს არამარტო ნორჩ ფიზკულტურელთა სასპორტო ტექნიკის ამაღლება, არამედ ისიც, რომ მათი წრიდან მოამზადონ ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა თანაშემწეები, საზოგადოებრივი ინსტრუქტორები, მსაჯები ფეხბურთის, ჰოკეის, კალათბურთის, ფრენბურთის დარგში და ბავშვთა სასპორტო გუნდების კაპიტნები. ასეთ სკოლებში ნასწავლმა ნორჩმა სპორტსმენებმა დახმარება უნდა გაუწიონ ფიზკულტურული მუშაობის გაშლას თავიანთ სკოლებსა და პიონერრაზმებში.

საბავშვო სასპორტო სკოლებში მიღებული იქნებიან არასრული საშუალო და საშუალო სკოლების, ტექნიკუმების, სახელოსნო და სარკინიგზო სასწავლებლების მოსწავლეები, რომლებსაც საერთო განათლების საგნებში აქვთ „კარგი“ და „ფრიადი“ ნიშნები.

საბავშვო სასპორტო სკოლებს მიეკუთვნებათ საკუთარი დროშა, ხოლო მოსწავლეებს — სასპორტო ფორმა და მკერდის ნიშანი.

ფეხბურთელთა მატჩი

ოდესა, 3 ივნისი (საქდესი). „დინამოს“ (კიევი) და „სპარტაკის“ (ოდესა) ფეხბურთელთა გუნდებს შორის შესდგა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაში ძლიერ წვიმაში მიმდინარეობდა და კიეველთა გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 3:0.

ახალ სესხზე ხელის მოწერით დავაჩქაროთ ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმისაკენ

თბილისის სართოქლმავლო დეპოში წარმატებით მიმდინარეობს მესამე ხუთწლედის სესხზე (მეოთხე წლის გამოშვება) ხელმოწერა. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): ორდენოსნები ამხ. ნ. ვ. გელაძე და გ. ი. მელქაძე აწარმოებენ სესხზე ხელმოწერას. ხელს აწერენ ამხ. გ. ჯაჯანაშვილი და მემანქანე-ინსტრუქტორი ი. კრივიცკი.

საქდესის ფოტოქრონიკა.

სესხზე ხელის მოწერა დაამთავრეს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

3 ივნისს, ღამის 11 საათისათვის, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალ სესხზე ხელის მოწერა დაამთავრეს. 2.250 კაცს ხელი მოწერილი აქვს 796.520 მანეთის სესხზე.

აკადემიკოსმა გ. ხაჭაპურიძემ სესხზე ხელი მოაწერა 3.800 მანეთის რაოდენობით, პროფესორმა ალ. ჯავახიშვილმა — 1.500 მან., სტალინურმა სტიპენდიატმა, სტუდენტმა ხ. მახარაძემ — 500 მან., სტალინურმა სტიპენდიატმა, ასპირანტმა თინა შარაშენიძემ — 1.000 მანეთის რაოდენობით.

№ ნაწილში

№ ნაწილის ერთერთი დანაყოფის წითელარმიელთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა მიტინგზე დიდი ინტერესით მოისმინეს ნაწილის პარტბიუროს მდივნის ამხ. ვასილიევის ინფორმაცია მესამე ხუთწლედის მეოთხე წლის სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. სიტყვებით გამოსული მებრძოლები ამხ. პავლოვი, ლოსოვი, მანდრიკოვი და ხოხლენკო ერთსულოვნად აღნიშნავდნენ ახალი სესხის უდიდეს მნიშვნელობას, სესხისა, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისაკენ.

მიტინგის დამთავრებისთანავე ჩატარდა და მთლიანად დამთავრდა სესხზე ხელისმოწერა. უმცროსმა სერჟანტებმა ამხ. სენცინმა, სიტნიკოვმა, ლოსოვმა, ჩერვონიმ და ქაჯაიამ სესხზე ხელი მოაწერეს თითო თვის ხელფასის რაოდენობით.

უმცროსი ლეიტენანტი
არ. ბერუჩევი

სტატისტიკურ სამმართველოში

საქართველოს სტატისტიკურ სამმართველოში (კიროვის რაიონი) სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი მიტინგის დამთავრებისთანავე დაიწყო ხელის მოწერა. დაწესებულებაში მსახურობს 116 თანამშრომელი. ერთი საათის განმავლობაში ხელი მოაწერა 105 კაცმა 50.385 მანეთის რაოდენობით. სამმართველოს უფროსმა გელაშვილმა 1.400 მანეთის მაგიერ სესხზე ხელი მოაწერა 1.600 მანეთის რაოდენობით, მთავარმა ბუხჰალტერმა გუნიამ 800 მანეთის მაგიერ 1.000 მან., ამხ. არაქელოვმა — 800 მან. და ქერაძემ — 1.400 მანეთის რაოდენობით.

3 ივნისს სესხზე ხელის მოწერა დამთავრდა.

თბილვაჭრობის სამრეწველო საწყობში

თბილვაჭრობის სამრეწველო საწყობების მუშა - მოსამსახურეთა შორის განსაკუთრებული აქტივობით ჩატარდა ახალ სესხზე ხელისმოწერა. თანამშრომელთა მთელ კოლექტივს, 67 კაცს, რომელთა თვიური ხელფასის ფონდი 21.665 მან. უდრის, 3 ივნისს დილის 10 საათისათვის სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა მთლიანად 22.010 მანეთის რაოდენობით.

სექციის გამგემ ამხ. ი. ძებისაშვილმა სესხზე ხელი მოაწერა თვენახევრის ხელფასის რაოდენობით, წუნმდებელმა გ. ავალოვმა, საწყობების გამგემ ა. შახნაზაროვმა და სხვებმა აგრეთვე ხელი მოაწერეს თვიურ ხელფასზე მეტი რაოდენობით.

ი. ზარაფიშვილი

ფარმაცევტულ ინსტიტუტში

3 ივნისს დღის 2 საათისათვის ინსტიტუტის ყველა თანამშრომელმა სესხზე ხელი მოაწერა თითო თვის ხელფასის რაოდენობით. ამრიგად, თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტულ ინსტიტუტში სესხზე ხელის მოწერა დამთავრებულია. ხელის მოწერის თანხა 68.155 მანეთს შეადგენს.

მოზამთრეები ხელს აწერენ სესხზე

უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას ახალი სესხის გამოშვების შესახებ საქართველოს მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურების მოზამთრენი. ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს მოსდის დეპეშები მოზამთრეთა კოლექტივებისაგან.

— ჩვენი კოლექტივი მხურვალედ მიესალმება მთავრობის დადგენილებას მესამე ხუთწლედის (მეოთხე წლის გამოშვება) სესხის გამოშვების შესახებ. ხელს ვაწერთ სესხზე ერთი თვის ხელფასის რაოდენობით — რადიოგრამით იტყობინებიან მოზამთრენი ყაზბეგიდან. მოზამთრეთა უფროსმა ამხ. გავაშელმა ხელი მოაწერა სესხს 850 მანეთის რაოდენობით. დანარჩენ 5 მოზამთრის მიერ სესხზე ხელმოწერის თანხა 2.565 მანეთს შეადგენს.

რადიოგრამა მიღებულ იქნა აგრეთვე სურამის უღელტეხილის მეტეოროლოგიური სადგურის მოზამთრეთაგან. ისინი იტყობინებიან: ხელს ვაწერთ სესხს თვიური ხელფასის რაოდენობით, სულ 2.950 მანეთის რაოდენობით. (საქდესი).

ერთსულოვანი აღფრთოვანებით

თბილისის კინოფიკაციის სამმართველოს მუშა-მოსამსახურენი დიდი სიხარულით შეხვდნენ ახალი სესხის გამოშვებას. 3 ივნისს, მუშაობის დაწყების წინ, მოეწყო სახელდახელო მიტინგი, რომელზეც ინფორმაციით გამოვიდა პარტბიუროს მდივნის მოადგილე ამხ. გ. დოლიძე. სიტყვები წარმოსთქვეს ა. ბოჭორიშვილმა, გ. ჯაფარიძემ და სხვ. მათ სესხზე ხელი მოაწერეს თითო თვის ხელფასის რაოდენობით.

4 ივნისს დღის 3 საათისათვის აქ სესხზე ხელმოწერის თანხამ 48.810 მანეთს მიაღწია.

ხელის მოწერა გრძელდება.

წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში

სამტრესტის წინანდლის (თელავის რაიონი) მევენახეობა-მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა - მოსამსახურეთა კოლექტივი აღფრთოვანებით შეხვდა მესამე ხუთწლედის მეოთხე წლის სესხის გამოშვებას.

ორი საათის განმავლობაში სესხი გავრცელებულ იქნა 22.230 მანეთის რაოდენობით.

ახალი სესხის გავრცელება საქართველოში

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს ცნობებით, 3 ივნისს, ღამის 11 საათისათვის, საქართველოს სს რესპუბლიკაში მესამე ხუთწლედის სახელმწიფო სესხზე (მეოთხე წლის გამოშვება) ხელის მოწერის თანხა 122.493 ათას მანეთს შეადგენდა. აქედან ქალაქად — 105.920 ათას მანეთს, სოფლად—16.573 ათას მანეთს. გასულ წელს, ამავე პერიოდისათვის, მთელს რესპუბლიკაში სესხზე ხელი მოწერილი იყო 75.411 ათასი მანეთის რაოდენობით.

4 ივნისს, ღამის 11 საათისათვის, ქ. თბილისში 167.239 კაცს ხელი მოწერილი ჰქონდა 57.280.915 მანეთის სესხზე. ბერიას რაიონში ხელმოწერის თანხა 14.959.205 მანეთს შეადგენდა, სტალინის რაიონში—9.765.720 მანეთს, 26 კომისრის რაიონში—8.748.230 მანეთს, კიროვის რაიონში—6.407.460 მანეთს, ლენინის რაიონში—6.078.265 მანეთს, ორჯონიკიძის რაიონში—5.911.290 მანეთს, მოლოტოვის რაიონში—5.410.745 მანეთს. გასულ წელს, ამავე პერიოდისათვის თბილისში სესხზე ხელი მოწერილი იყო 48.926 ათასი მანეთის რაოდენობით.

ახალ სესხზე ხელის მოწერა მთელს რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს.

წარმატებით მიმდინარეობს სესხზე ხელმოწერა რაიონებში

სოხუმი (ტელეგრაფით „კომუნისტის“ კორ.). ახალ სესხზე ხელის მოწერა მთელ აფხაზეთში წარმატებით მიმდინარეობს. პირველ დღეს, 2 ივნისს ხელმოწერამ დაახლოებით 3.300 ათას მანეთს მიაღწია, ნაცვლად შარშანდელი 1.337 ათასისა.

ახალი სესხი დიდი წარმატებით ვრცელდება როგორც ქალაქად, ისე სოფლად. პირველ დღესვე ქალაქ სოხუმში ხელმოწერა ავიდა 1.100 ათას მანეთამდე. 2 ივნისს აფხაზეთის კოლმეურნეებს წერილით მიმართეს გალის რაიონის ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა და მოუწოდეს მიჰბაძონ მათ მაგალითს. ამ კოლმეურნეობაში 2 ივნისსავე მთლიანად დაფარეს ხელმოწერის თანხა 77 ათასი მანეთის რაოდენობით.

ხელის მოწერა გრძელდება.

გ. მერკვილაძე

○

ფოთი (ტელეგრაფით „კომუნისტის“ კორ.). ფოთის მშრომელები აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის მიერ მესამე ხუთწლედის მეოთხე წლის სახელმწიფო სესხის გამოშვებას. გემ „პარტიზანის“ მექანიკოსმა ამხ. ხორავამ სესხზე ხელი მოაწერა ერთი თვის ხელფასის რაოდენობით. გემზე ხელისმოწერის თანხამ 8 ათას მანეთს გადააჭარბა.

პატარა-ფოთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში სესხზე ხელი მოაწერეს 4 ათასი მანეთის რაოდენობით.

4 ივნისს ხელის მოწერის თანხამ 2.300 ათას მანეთს მიაღწია.

აბ. ნანეიშვილი

○

ტყიბული (ტელეგრაფით „კომუნისტის“ კორ.). 4 ივნისისათვის რაიონში გავრცელებული იყო 1.361.000 მან. სესხი, აქედან მუშა-მოსამსახურეებში 107.200 მანეთის, სოფლად—288.000 მანეთის. კოლმეურნეობებიდან სალაროში შეტანილია 39.000 მან. ნაღდი ფული.

დ. საბელაშვილი

ჭიათურა 4 ივნისი (საკ. კორ.). დღეს დილის 9 საათისათვის სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 6.430 მშრომელს. ხელმოწერის თანხა 2.070.335 მანეთს შეადგენს.

ვოროშილოვისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებში სესხზე ხელის მოწერა დამთავრდა.

სესხზე ხელმოწერა წარმატებით მიმდინარეობს. ჩხიროულის კოლმეურნეობებმა სალაროში შეიტანეს 2.000 მანეთი ნაღდი ფული.

ლ. ლოლაძე

○

გორი (ტელეგრაფით). ტირძნისის საბჭოს კოლმეურნეობებში (გორის რაიონი) 2 ივნისს საღამოს ახალ სესხზე ხელი მოაწერა 250 კოლმეურნემ 43.930 მანეთის რაოდენობით. ხელის მოწერა გაცხოველებით მიმდინარეობს. სოფ. ბროლეთის კოლმეურნეობაში 65 წლის მოხუცმა კოლმეურნე ზენო კიკვილმა სესხზე ხელი მოაწერა 300 მანეთის რაოდენობით და ხელის მოწერისთანავე შეიტანა თანხა. ანტონ ბერიძემ და ბაგრატ სურამელმა ხელი მოაწერეს 350 მანეთის სესხზე და შეიტანეს 200-200 მანეთი. დიდი აღფრთოვანება გამოიწვია 80 წლის კოლმეურნე ვანო ხმიადაშვილის გამოსვლამ. მან ხელი მოაწერა 1000 მანეთზე, ხოლო მისი ოჯახის დანარჩენმა ორმა წევრმა 500 მანეთზე.

ტირძნისის კოლმეურნე მაშო ნასყიდაშვილმა სესხზე ხელი მოაწერა 500 მანეთის რაოდენობით.

ხელის მოწერა გრძელდება.

კ. ფაჟავა

○

ონი (ტელეგრაფით „კომუნისტის“ კორ.). 4 ივნისისათვის რაიონში სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდათ 559 ათასი მანეთის რაოდენობით.

მ. ჩომახიძე

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

2 ივნისს ახალი სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილ მიტინგზე შეიკრიბნენ ცნობილი საბჭოთა მეცნიერნი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების, ლაბორატორიების, ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა მუშაკები.

ტრიბუნაზეა აკადემიკოსი ვ. ნ. ობრაზცოვი. იგი ლაპარაკობს საბჭოთა სესხების მნიშვნელობაზე, სტალინურ ხუთწლედებზე მოწინავე საბჭოთა მეცნიერებაზე, სახელოვან წითელ არმიაზე.

— ჩვენი სესხები,—განაგრძობს ვ. ნ. ობრაზცოვი, — ახალი საწარმონი, ახალი საცხოვრებელი სახლები, კლუბები და სკოლებია. ჩვენი მთავრობა ყველაზე მაღლა აყენებს ხალხის ინტერესებს, აი რატომ არის, რომ მუშები, მოსამსახურენი, კოლმეურნენი და ინტელიგენცია ასეთი ხალისით აწერს ხელს საბჭოთა სესხებს, აი რატომ არის, რომ ჩვენი სესხები უცვლელი და მტკიცე წარმატებით სარგებლობს. სესხზე ხელმოწერით ჩვენ კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვით ძლიერებას.

სესხზე ერთსულოვნად ხელმოწერას მხურვალედ მოუწოდებს მეცნიერებს გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი კ. ლ. პოჟარიცკი.

—მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში ამბობს იგი, — მეცნიერები არ სარგებლობენ ისეთი მზრუნველობით, როგორც ჩვენში. დავეხმაროთ ჩვენს მთავრობას სოციალისტური ახალი კულტურის აშენებაში.

— ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება, — აცხადებს სტალინის პრემიის ლაურეატი, პროფესორი ს. ზ. მაკაროვი, — ვაშენოთ კომუნიზმის დიადი შენობა. საბჭოთა მეცნიერების ადამიანები ყველა მშრომელთან ერთად კმაყოფილებით მოაწერს ხელს ახალ სესხს.

19 საათისათვის ტექნიკურ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტების 233 თანამშრომელმა ხელი მოაწერა 163 ათას მანეთზე. ერთი თვის ხელფასზე და მეტზე ხელი მოაწერეს აკადემიკოსებმა — ობრაზცოვმა, ნიკიტინმა, კაჩინმა, კულებაკინმა, სკოჩინსკიმ, სოციალისტური შრომის გმირმა აკადემიკოსმა ჩაპლიგინმა, სტალინის პრემიის ლაურეატებმა — კოვალენკოვმა, შორინმა, მაკაროვმა და სხვებმა. (საკდესი).

მეტალურგთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრება

გადაჭარბებით შესრულდა თუჯის, ფოლადის, ნაგლინისა და კოქსის წარმოების ხუთი თვის გეგმა

შავი მეტალურგიის მუშაობის შესახებ მეტალურგები მნიშვნელოვანი წარმატებებით შეხვდნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 2 ივნისის დადგენილების წლისთავს. შავმა მეტალურგიამ, რომელიც წარმოებას ყოველთვიურად ადიდებს, გადაჭარბებით შეასრულა ხუთი თვის გეგმა მთელი მეტალურგიული ციკლის მიხედვით. გადამეტებით შესრულდა კოქსის გამოწვის პროგრამა. წარმატებით მუშაობდნენ მაღაროელები. რკინის მადნის მოპოვების იანვარ-მაისის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

გაუმჯობესდა ძირითადი მეტალურგიული მოწყობილობის გამოყენება. აპრილში შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის ხაზით მიღწეულია ბრძმედების სასარგებლო მოცულობის გამოყენების საშუალო კოეფიციენტი — 1,01. მარტენის ღუმელებში ფოლადის საშუალო სადღეღამისო გამოდნობა მარტენების ქვედის ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე 5,27 ტონამდე გადიდდა. ეს აღემატება წლიური გეგმის დავალებას.

ლითონის წარმოების გადიდების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 2 ივნისის დადგენილებას და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისისა და 10 ივლისის ბრძანებულებებს. მუშაობის გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მეტალურგთა მაღაროელთა, მეკოქსეთა ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას. ნახევარი წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის გაჩაღებულმა შეჯიბრებამ, რომელიც სსრ კავშირის საუკეთესო მეტალურგიული ქარხნის — ძერჟინსკის სახელობის ქარხნის კოლექტივის ინიციატივით დაიწყო, უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია შავი მეტალურგიის მუშაობაში. გადაჭარბებით შესრულდა თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის გამოშვების და რკინის მადნის მოპოვებისა და კოქსის გამოწვის მაისის გეგმა.

მეტალურგიული ქარხნების უმრავლესობამ გადაჭარბებით შეასრულა მაისისა და პირველი ხუთი თვის პროგრამა. მოწინავეთა შორის არიან: დნეპროძერჟინსკის ძერჟინსკის სახელობის ქარხანა, მაგნიტოგორსკის სტალინის სახელობის ქარხანა, კუზნეცკის სტალინის სახელობის ქარხანა, ქ. ორჯონიკიძის ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა, კრივოი როგის ქარხანა, სტალინსკის (დონბასის) სტალინის სახელობის ქარხანა, სტალინგრადის ქარხანა „კრასნი ოქტიაბრი", „ელექტროსტალი" (მოსკოვის ოლქი), ტაგანროგის ანდრეევის სახელობის ქარხანა და სხვ.

შავ მეტალურგიაში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი ქარხნები, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებენ. ასეთი ქარხნების რიცხვს ეკუთვნიან: სეროვის სახელობის ქარხანა, აშინსკის, გორკის ქარხნები, კუიბიშევის სახელობის მილსაგლინავი ქარხანა, ოდესის ფოლადსაგლინავი ქარხანა. ბევრ ქარხანაში დაწესებული ტექნოლოგია ირღვევა, მუშაობა არ არის ორგანიზებული გრაფიკის მიხედვით. ამის გამო საწარმოებმა ყველა შეკვეთა როდი შეასრულეს. შეკვეთებს სხვებზე უფრო ცუდად ასრულებენ მაკეევკის კიროვის სახელობის ქარხანა, ქარხანა „დნეპროსპეცსტალი", „ზაპოროჟსტალი", პეტროვსკის სახელობის ქარხანა.

მაისის და 5 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა კოქს-ქიმიური ქარხნების უმრავლესობამ და ტრესტ „ნიკოპოლმარგანეცმა". მაისის პროგრამა შეასრულა ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა. კარგად მუშაობენ კრივოი როგის რკინამადნეულის აუზის მაღაროელები.

3 ივნისი (საკდესი).

ნავთის მუშაკთა სრულიად-საკავშირო შეჯიბრება

1941 წლის მაისისა და პირველი 5 თვის მუშაობის შედეგები

სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატში შეჯამებულ იქნა ნავთის მომპოვებელი ტრესტების 1941 წლის მაისისა და პირველი 5 თვის მუშაობის შედეგები.

ნავთის მთელმა მრეწველობამ 30 მაისს დაამთავრა ნავთისა და გაზის ამოღების ხუთი თვის პროგრამა. დავალება ვადამდე შეასრულეს უდიდესმა კომბინატებმა— აზერბაიჯანის და გროზნის კომბინატებმა.

გადაჭარბებით შესრულდა ნავთისა და გაზის ამოღების მაისის გეგმაც. შეჯიბრების იმ მოწინავეთა შორის, რომლებმაც თვიური დავალება მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს, არიან „აზნეფტეკომბინატი", „გროზნეფტეკომბინატი", „უკრნეფტეკომბინატი", „კაზახსტანნეფტეკომბინატი" და „გლავნეფტგაზი".

მაისში მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა ტრესტ „ბუგურუსლანნეფტმა", რომელმაც პროდუქცია გეგმის გადამეტებით გამოუშვა. თვიური პროგრამა გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე ტრესტ „საქნავთმა" და „უკრნეფტეპრომრაზვედკამ". დავალება არ შეუსრულებიათ „ბაშნეფტეკომბინატს", „მაიკოპნეფტეკომბინატს", ტრესტ „პრიკამნეფტს" და „სიზრანნეფტს", შუა აზიის ტრესტებს.

3 ივნისი (საკდესი).

ნავთის ჭაბურღილების ჩქარი ბურღვა

რამდენიმე დღის მუშაობის შემდეგ მოსკოვში დამთავრდა ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ მოწვეული თათბირი, რომელიც ჩქარი ბურღვისა და ჩარხების ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს მიეძღვნა. მოხსენებებით გამოვიდნენ ტრესტ „მალგობეკნეფტის" მმართველი — ამხ. ნეგოდნევი, „აზნეფტეკომბინატის" ბურღვის განყოფილების უფროსი — ამხ. ციპლისი და სახალხო კომისარიატის მუშაკები.

გამოსვლებში აღნიშნული იყო, რომ ნავთის მრეწველობის სპეციალისტთა ერთ ნაწილში არსებობდა „ზღვრული" თეორია, რომელიც ჭაბურღილების გათხრის ტემპებს აფერხებდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბრუნვითი ბურღვა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა როტორის ბრუნთა რიცხვი განსაზღვრულია და წუთში უდრის არაუმეტეს 130-სა. მოწინავე ოსტატებმა, სტახანოველებმა თავდაყირა დააყენეს ეს მავნე თეორია და დაამტკიცეს, რომ სარეწებს უდიდესი შესაძლებლობა მოეპოვებათ გათხრის ტემპების მკვეთრად გადიდებისათვის.

ტრესტ „მოლოტოვნეფტში" ოსტატ ამხ. პოლიკანოვის ბრიგადამ ერთი ჭაბურღილი ვადაზე 19 დღით ადრე დაამთავრა, ხოლო მეორე — 39,2 დღით ადრე. „აზიზბეკოვნეფტში" ოსტატმა ამხ. მაჰმუდოვმა ერთ ჭაბურღილზე თითქმის ერთიორად გადააჭარბა გათხრის სისწრაფეს. ტრესტ — „კაგანოვიჩნეფტში" ერთი ჭაბურღილი, საათში 3-3,5 მეტრის ნაცვლად, გათხრილ იქნა 6,25 მეტრი მექანიკური სისწრაფით.

„აზნეფტეკომბინატში" ჩქარი ბურღვის წესით დაახლოებით 10 ჭაბურღილი დამთავრდა. პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ აქ საჭირო არ არის ჭაბურღილების არავითარი ხელახალი ტექნიკური შეიარაღება. შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვეულებრივი სერიული მოწყობილობა. ჩქარ გათხრას აღწევენ როტორის ბრუნთა რიცხვის წუთში 260-მდე გადიდებით, სამმღარავიანი ჩარხებისა და გაწყვილებული ტუმბოების გამოყენებით. დიდი მნიშვნელობა აქვს დამძიმებულ ქვედა ნაწილს (საბურღი სვეტის ბოლოში შეგროვილი მძიმე მილები). ეს ნაწილი ჩარხის უფრო მეტად დატვირთვის საშუალებას იძლევა.

თათბირის შედეგად გამომუშავებული იქნება პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ საუკეთესო ჩქაროსან მბურღავთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებას. (საკდესი).

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ მოსავლის აღებას

კურდღელაურში სუსტად ემზადებიან

თელავი („კომუნისტის" კორ.). სოფ. კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობა წელს მარცვლეული თავთავიანი კულტურების უხვ მოსავალს იღებს. კოლმეურნეობამ მოსავლის აღება უნდა ჩაატაროს 155 ჰექტარზე. მათ შორის ხელით ასაღებია 55 ჰექტარი. ქერის აღება მალე დაიწყება.

მაგრამ უხვი მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებისათვის კოლმეურნეობა მზად არ არის. მარცვალსაცავი, მარცვალსაწმენდი მანქანა და სატრანსპორტო საშუალებანი წესრიგში არ მოუყვანიათ. ახალი მოსავლის დასაბინავებლად საწყობი ჯერ არ მოუმზადებიათ. კოლმეურნეობის გამგეობას არ მიუღია საჭირო ზომები საწყობის შეკეთებისა და დეზინფექციისათვის. შეუკეთებელია აგრეთვე ერთი ტრიერი. ჭიანურდება ურმების რემონტი; 11 ურმის ნაცვლად მზად არის მხოლოდ 1 ურემი. შ. ფარადაშვილის და ფ. კუსრაშვილის ბრიგადებს ურმების შეკეთება არ დაუწყიათ.

მოსავლის აღება შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ რომ ჩატარდეს, ამისათვის კოლმეურნეობას ესაჭიროება აგრეთვე 120 ნამგალი. კოლმეურნეობის გამგეობამ ბრიგადირებს დაავალა აღერიცხათ ნამგლები, მაგრამ ეს საქმეც მოუგვარებელია. გამგეობის დავალება ნამგლების აღრიცხვის შესახებ შეასრულა მხოლოდ მეორე ბრიგადამ (ბრიგადირი გ. ნასყიდაშვილი). ამ ბრიგადას აკლია 9 ნამგალი. ბრიგადირებს ფ. კუსრაშვილს და შ. ფარადაშვილს ამ საქმეზე დღემდე არ უზრუნვიათ.

კოლმეურნეობა უზრუნველყოფილი არ არის აგრეთვე ტარაჭურჭლით. 100 ცალი ტომრის ნაცვლად აქვთ მხოლოდ 25.

კოლმეურნეობაში შედგენილი და განხილული არ არის მოსავლის აღების გეგმა და კომბაინების მოძრაობის მარშრუტები ცალკეულ ნაკვეთებში პურეულის დამწიფების ვადების გათვალისწინებით. კოლმეურნეობამ ორ-სამ დღეში უნდა დაიწყოს ქერის აღება კომბაინებით, მაგრამ მოსავლის აღების პერიოდში კომბაინების მომსახურებისათვის გამოყოფილი არ არიან კოლმეურნეები, ცოცხალი გამწევი ძალა და ურმები.

ქ. აფხაზავა

მეტი ყურადღება მოსავლის აღებისათვის მზადებას

ლაგოდეხი (ტელეგრაფით „კომუნისტის" სპეც. კორ.). ლაგოდეხის რაიონს, რომელიც სიღნაღელთა მიმართვის პასუხად ჩაბმულია სოცშეჯიბრებაში ყვარლის რაიონთან, აღებული აქვს ვალდებულება მიმდინარე წელს მიიღოს ჰექტარზე საშუალოდ 17 ცენტნერი მარცვლეული. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის რაიონის კოლმეურნეობებში გაშლილია სერიოზული მუშაობა. მოსავალს საუკეთესო პირი უჩანს.

1 ივნისისათვის ქერის მოსავალი აღებული იყო უკვე 600 ჰექტარზე მეტი ფართობიდან. სოფ. ულიანოვკის წითელარმიელის სახელობის კოლმეურნეობამ ჰექტარზე 19 ცენტნერი ქერი მიიღო, ამავე კოლმეურნეობაში ჰექტარზე 20 ცენტნერამდე ხორბალს მოელიან, ასეთივე დიდი მოსავალია სხვა კოლმეურნეობებშიც. კომბაინების რემონტი ახლო ხანში დამთავრდება.

ნაკლოვანებათა შორის აღსანიშნავია შემდეგი: მტს-ს არა აქვს კრედიტები საწვავი მასალის შესაძენად, სათადარიგო ნაწილების უქონლობით კოლმეურნეობებს დღემდე არ დაუმთავრებიათ თვითმკვრელების შეკეთება, კოლმეურნეობებში არსებული 60 ავტომანქანიდან „შინები" არა აქვს 40 მანქანას. კოლმეურნეობები არც საწვავი მასალით არიან მომარაგებულნი. ჭიანურდება ბეღლების მომზადება. სოფ. რაჭისუბნის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობას ბეღელში აბრეშუმის ჭია ჰყავს. ახალი ბეღელი, რომლის მშენებლობა შარშან გაზაფხულზე დაიწყო, ჯერ არც კი გადაუხურავთ. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ დაუწყიათ ბეღლების დეზინფექცია. რაიმიწგანს არა ჰყავს აგრონომი ენტომოლოგი.

რაიონს ესაჭიროება 6.000 ტომარა, მაგრამ კოოპერატივს აქედან დღემდე არცერთი ცალი არ შემოუტანია. მოსავლის მასობრივად აღება რაიონში 10-15 ივნისს დაიწყება.

ტ. აცანელი

მზადება მოსავლის ასაღებად

მცხეთა (საქდესი). მცხეთის რაიონის კოლმეურნეობანი გაცხოველებით ემზადებიან მოსავლის ასაღებად. სოფ. მუხრანის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში ამთავრებენ ახალი საწყობის მშენებლობას. სოფ. გალავნის, საგურამოს, ნიჩბისისა და სხვა კოლმეურნეობებში წესრიგში მოჰყავთ ძველი საწყობები, მზადდება მოსავლის ასაღები მანქანა-იარაღი. კოლმეურნეობანი ადგენენ მოსავლის აღების კალენდარულ გეგმებს.

კოლმეურნეობებმა 8 ახალი საბარგო მანქანა მიიღეს.

აპრობატორთა კურსები დაამთავრა 20 აგრონომმა. სეზონის განმავლობაში სულ იმუშავებს 35 აგრონომი-აპრობატორი.

მოსავალს კარგი პირი უჩანს. შემოდგომის ქერმა ფერი იცვალა, მწიფდება.

რატომ ცდება კომბაინები

სიღნაღი („კომუნისტის" კორ.). წნორის მტს-ი მომზადებული შეხვდა მოსავლის აღებას. დაწესებულ ვადაზე ერთი თვით ადრე დამთავრდა კომბაინების რემონტი.

სოფ. ბოდბისხევის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" გამგეობამ (თავმჯდომარე ბ. პეტრიაშვილი) სერიოზულად მოჰკიდა ხელი მოსავლის აღებისათვის მზადებას. შეაკეთეს იარაღ-მანქანები, ურმები, მუშა-პირუტყვი გადაიყვანეს გაძლიერებულ კვებაზე. 25 მაისისათვის მილარის მინდორში მოამზადეს კალო, ჩაატარეს როგორც კალოს, ისე ბეღლების დეზინფექცია, მიიტანეს სასწორი. მილარის ნაკვეთებში მოსავლის ასაღებად გავიდა წნორის მტს-ის № 8 კომბაინი. 30 მაისს ტრაქტორისტმა ნ. ვარდიაშვილმა და კომბაინერმა შ. ნაცვლიშვილმა დაიწყეს მოსავლის აღება. ენერგიული მუშაობის შედეგად ერთ დღეში დაამთავრეს 25 ჰექტარი ქერის აღება და დღიური გეგმა 312,5 პროცენტით შეასრულეს.

მაგრამ წნორის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობები ყველა ასე როდი მოემზადა მოსავლის ასაღებად. სოფ. ანაგის კოლმეურნეობა „ნაპერწკლის" ნაკვეთში 27 მაისს გავიდა № 4 კომბაინი. 31 მაისს უნდა დაწყებულიყო ქერის აღება, მაგრამ ამ დღისათვის ადგილზე არ იყო ურმები, წყლის კასრები, სასწორი, საწვავი, აშენებული არ იყო ფარდული, საქმისადმი კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვ. მირიანაშვილის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად მომზადებული არ იყო კალო და ნაკვეთების კუთხეები შემოთიბული, რის გამო აქ 31 მაისს კომბაინი გაცდა.

სოფ. ანაგის კოლმეურნეობა „წითელი ანაგის" გამგეობაც მოუმზადებელი შეხვდა მოსავლის აღებას. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნ. თანდაშვილის უთავბოლო მუშაობით აქ ორ დღეს გაცდა № 17 კომბაინი.

წნორის მტს-ის № 20 კომბაინი (კომბაინერი შ. მათეშვილი) 27 მაისს გავიდა საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთზე. ქერი მომწიფებულია, მაგრამ ადგილზე არ აღმოჩნდა საწვავი მასალა, წყალი, ურმები, მუშა-ხელი და სხვ. ამიტომ მოსავლის აღების დაწყება გაჭიანურდა. სოფ. ანაგის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა, მართალია, დროზე შეუდგა ქერის აღებას, მაგრამ კოლმეურნეობა არ აწარმოებს დანაკარგებთან ბრძოლას. აქ № 28 კომბაინის კომბაინერს გ. ყაჯრიშვილს საწვავი მასალის წაღება უხდება ერთი კილომეტრით დაშორებული ადგილიდან. ეს იწვევს კომბაინის ხშირ გაჩერებას.

ი. ბალიაშვილი

მცხეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ჯგუფი, რომელიც გაემგზავრა მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დასათვალიერებლად.

ფოტო რ. აკოფოვისა.

დროულად და უდანაკარგოდ აუღოთ მოსავალი

(გურჯაანი, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

— ჩვენი რაიონის კოლმეურნეები გახარებული არიან, — ამბობს საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ფეიქრიშვილი, — წელს თავთავიანი კულტურების მოსავალს კარგი პირი უჩანს. ხვნა-თესვის წარმატებით ჩატარებამ და ნათესების კარგად დამუშავებამ თავისი შედეგი მოგვცა. გასულ წელთან შედარებით წელს ერთიორად და კიდევ მეტ მოსავალს ავიღებთ.

რაიონის თვალუწვდენ საკოლმეურნეო მინდვრებზე ზღვასავით ღელავს ხორბლისა და ქერის მომწიფებული მოსავალი. წელს გეგმით აღებულ უნდა იქნას ხორბლის მოსავალი 14.419 ჰექტარზე, ქერი — 770 ჰექტარზე, შვრია — 152 ჰექტარზე. აქედან კომბაინებით აღებული იქნება 6.400 ჰექტარზე, სამკელი მანქანებით (თვითმკვრელებით) — 560 ჰექტარზე, დანარჩენი კი აღებული იქნება ხელით.

მოსავლის აღების დღეები უკვე დაიწყო. პირველი კომბაინები გავიდნენ მინდვრად სამუშაოდ — 2 კარდანახში და 1 ვეჯინში. ქერის მკა დაიწყეს 1 ივნისს. ქერის მოსავლის მასობრივად აღება დაიწყება 5 ივნისს. ამიტომ არის, რომ გურჯაანისა და კაჭრეთის მტს-ების მუშაკები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ტრაქტორისტები და კომბაინერები ერთხელ კიდევ ყოველმხრივ ამოწმებენ გამზადებულ ტრაქტორებს და კომბაინებს, სალეწებს და სხვა მისაბმელ-დამხმარე ინვენტარს. ძირითადად ყველაფერი წესრიგშია: მანქანა-იარაღები თავის დროზე შეკეთდა, კადრები შერჩეული და მიმაგრებულია მუშაობის ყველა უბანზე. გურჯაანის მტს-ის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე 31 მაისს განიხილეს და დაამტკიცეს მოსავლის აღების გეგმა. თვითეულმა კომბაინერმა იცის თავისი მოძრაობის მარშრუტი, აქვს მუშაობის მტკიცე გრაფიკი.

კოლმეურნეობათა მემინდვრეობის ბრიგადებმა შეარჩიეს ხელით მკაზე მომუშავე კოლმეურნეები, მოამარაგეს ცელებით და ნამგლებით. სამომხმარებლო კოოპერაციისა და „საქსოფლმომარაგების" ადგილობრივმა განყოფილებებმა ამ საქმეში ოპერატიულობა გამოიჩინეს. კოლმეურნეობებს სალესავებიც კი არ გამორჩენიათ მხედველობიდან. გაანგარიშებულია, რომ მოსავლის აღების გაჩაღების პერიოდში მკაზე ყოველდღიურად იმუშავებს 7.921 კაცი და აიღებს მოსავალს 988 ჰექტარზე. ყოველგვარი ზომებია მიღებული იმისათვის, რომ რაიონში მოსავლის აღება 12 სამუშაო დღეში დაამთავრონ.

წესრიგში მოჰყავთ ძნების გადასაზიდი ტრანსპორტი, საურმე გზები, კალოები და კევრები. მუშა-საქონელი შერჩეულია და გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე.

დანაკარგების თავიდან ასაცილებლად ბრიგადებს გამოყოფილი ჰყავთ თავთავების მკრეფავები, რომლებიც მომკილ ფართობებზე იმუშავებენ. ამ საქმეში ფართოდ არიან ჩაბმულნი კოლმეურნე ქალები და მოზარდები.

არის ნაკლოვანებებიც. რაიონში არსებული 28 სამკელი მანქანიდან შეკეთებულია მხოლოდ 8. დანარჩენთა შეუკეთებლობას საჭირო ნაწილების უქონლობით ხსნიან. ძველი სისტემის სამკელებია და მათი ნაწილები ახლა არ იშოვება. „სოფლმომარაგების" საქართველოს განყოფილებამ ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს, რომ გურჯაანის რაიონს აღნიშნული სამკელების სასწრაფოდ შესაკეთებლად საჭირო ნაწილები მიაწოდოს.

კაჭრეთის მტს-ს ჯერაც არა ჰყავს შერჩეული მწონავები სალეწებზე სამუშაოდ. საჭიროა ამ საკითხის დროზე მოწესრიგება.

რაიონი სათიბი მანქანების ნაკლოვანებას განიცდის. აქაც „საქსოფლმომარაგების" დროული დახმარებაა საჭირო.

გურჯაანის რაიონის ბოლშევიკთა საბრძოლო ამოცანაა, როგორც ხვნა-თესვის და მოსავლის დამუშავების საქმეში მოაწყეს, მოსავლის აღების პერიოდშიც მოაწყონ სიღნაღელთა მოწოდების შესაბამისად სოციალისტური შეჯიბრების ახალი აზვირთება მოსავლის აღების მაღალხარისხოვნად, დროულად და უდანაკარგოდ ჩასატარებლად.

არ. კოკილაშვილი

ინგლისის ახლო აღმოსავლეთის საჰაერო ძალთა სარდლობის ცნობა

ლონდონი, 3 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის ახლო აღმოსავლეთის საჰაერო ძალთა სარდლობის ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ ინგლისის ავიაციამ ამა წლის 5 თვის განმავლობაში მოსპო მოწინააღმდეგის 1.243 თვითმფრინავი, აქედან 244 თვითმფრინავი მოსპობილ იქნა მაისში. ამ რიცხვში არ შედის მრავალი თვითმფრინავი, რომელიც მძიმედ დაზიანდა და, ალბათ, საბოლოოდ გავიდა მწყობრიდან. ინგლისის ავიაციამ მაისის განმავლობაში 65 თვითმფრინავი დაჰკარგა.

ინგლისის საზღვაო სამინისტროს ცნობა

ლონდონი, 3 ივნისი (საკდესი). ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ ინგლისის საზღვაო სამინისტრომ გუშინ გამოაქვეყნა ჰოლანდიის სამხედრო-საზღვაო ძალთა სარდლობის კომუნიკე. ამ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ჰოლანდიის სამხედრო ხომალდმა „ვან კინსბერგენმა" ვესტ-ინდოეთის წყლებში შეიპყრო საფრანგეთის 8.379 ტონა წყალწყვის გემი „ვინიპეგი". საფრანგეთის გემი მარსელიდან მარტინიკას მიდიოდა და გზად დაკარში შეიარა. გემზე იმყოფებოდა 200-ზე მეტი გერმანელი, რომლებიც მარტინიკის კუნძულისაკენ მიემართებოდნენ. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ამჟამად სწარმოებს იმის გამოძიება, თუ როგორ მოხვდნენ გერმანელები ამ გემზე.

ინგლისის წყალქვეშა ფლოტის დანაკლისი მაისში

ბერლინი, 2 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობით, მაისის განმავლობაში გერმანიის თვითმფრინავებმა ინგლისის 4 წყალქვეშა ნავი ჩასძირეს.

ომი ზღვაში

ნიუ-იორკი, 2 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, 31 მაისს ვინსენტეს კუნძულის (მწვანე კონცხის კუნძულის) მახლობლად ტორპედირებულია ინგლისის სავაჭრო ხომალდი.

ლონდონი, 2 ივნისი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ჩაძირულია ინგლისის დამხმარე კრეისერი „სელოუპიანი".

31 მაისს ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა, რომლებმაც საპატრულო ფრენა მოახდინეს ხმელთაშუა ზღვაში, გერმანიის 5 და იტალიის 2 ყუმბარმშენი ჩამოაგდეს. გერმანიის რამდენიმე ყუმბარმშენი ძლიერ დაზიანებულია. იტალიის გემს, რომელმაც 30 მაისს სფაქსის (ტუნისი) ნავსადგურში ბომბარდირება განიცადა, კვლავ დაუშინეთ ყუმბარა და ტყვიამფრქვევი.

საფრანგეთის გემები გიბრალტარის სრუტეში გადიან

ლიონი, 3 ივნისი (საკდესი). ჰავასის-ოფის სააგენტო ალჟესირასიდან იუწყება, რომ გუშინ საფრანგეთის 4 დიდმა სავაჭრო გემმა მეთვალყურე გემის თანხლებით გიბრალტარის სრუტე გაიარა და ხმელთაშუა ზღვისაკენ გაემართა. ინგლისის 2 დამხმარე გემს, რომლებიც ინგლისის წყლებში მიმოდიოდნენ, საფრანგეთის გემების ქარავნის მოძრაობისათვის ხელი არ შეუშლიათ.

„ფრანგული პრესის კორპორაციის" შექმნა

ბორდო, 2 ივნისი (საკდესი). როგორც ჰავასის - ოფის სააგენტო იუწყება, ოკუპირებული ზონის ყველა ფრანგული გაზეთი და ჟურნალი გაერთიანებულია „ფრანგული პრესის კორპორაციაში". კორპორაცია ფრანგული ჟურნალგაზეთების ინტერესთა წარმომადგენელი იქნება გერმანიის საოკუპაციო და საფრანგეთის ხელისუფალთა წინაშე.

არაოკუპირებული ზონის ფრანგი მოსახლეობის აღწერა

ბორდო, 2 ივნისი (საკდესი). როგორც ჰავასის-ოფის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა ივლისში მოახდინოს არაოკუპირებული ზონის 14-დან 65 წლამდე ასაკის ფრანგი მოსახლეობის აღწერა.

ერაყის ახალი მთავრობა

ლიონი, 3 ივნისი (საკდესი). ჰავასის-ოფის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ერაყის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ჯამილ მადფაიმ ახალი მთავრობა შეადგინა შემდეგი შემადგენლობით: პრემიერ-მინისტრი—ჯამილ მადფაი, საგარეო საქმეთა მინისტრი—ალი ჯავდატი, ფინანსთა მინისტრი და დროებით იუსტიციის მინისტრი—იბრაჰიმ ქამალი, საზოგადოებრივი სამუშაოს და კავშირგაბმულობის მინისტრი—ჯალალ ბაბანი, განათლების მინისტრი — შაბიბი, მეურნეობის მინისტრი და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი — ნაზრატ ფარიზი და შინაგან საქმეთა მინისტრი—მუსტაფა ომალი.

საგაფიცვო მოძრაობა შანხაიში

შანხაი, 3 ივნისი (საკდესი). შანხაის 18 გარაჟის შოფერებმა, რომელნიც გაფიცული იყვნენ, გუშინ მუშაობა განაახლეს. მათ მიაღწიეს იმას, რომ დახმარებას მიიღებენ ბრინჯის შესაძენად; ადმინისტრაცია დასთანხმდა აგრეთვე გადაუხადოს გაფიცვის დღეების ხელფასი.

დამთავრდა აგრეთვე 4 ათასი შანხაელი მღებავის გაფიცვა, რომელთაც მიაღწიეს ხელფასის მომატებას ერთი დოლარით დღეში.

საგამომცემლო ფირმის „კომერშლ პრესის" მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება. ადმინისტრაციამ გაფიცულთა მასობრივი დათხოვნა დაიწყო.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისათვის მზადება

მთელს ჩვენს ქვეყანაში დაიწყო მზადება სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისათვის. ასობით აგიტატორი და პროპაგანდისტი—ფლოტის მეთაურები და პოლიტმუშაკები — ახლო დღეებში მოუთხრობენ მოსკოვის მშრომელთ ჩვენი ქვეყნის საზღვაო შეიარაღებულ ძალთა შესახებ, მათს მონაწილეობაზე სამშობლოსათვის ბრძოლაში, წაიკითხავენ ლექციებს წყალქვეშა ნავებზე, სახაზო გემებზე, ნაღმით ბრძოლაზე და ა. შ. მოსკოვში სულ მოეწყობა 4 ათასამდე საუბარი და ლექცია.

დღესასწაულის წინა დღეებში სამხედრო მეზღვაურები მოსკოვის პარკებში მოუთხრობენ მშრომელებს საბჭოთა კავშირის ფლოტებისა და ფლოტილიების პირადი შემადგენლობის საბრძოლო საქმეებსა და დაძაბულ სწავლაზე. წითელფლოტელებთან, მეთაურებთან და პოლიტმუშაკებთან შეხვედრა მოეწყობა ცენტრალურსა და სოკოლნიკის პარკებში, ძერჟინსკის სახელობის პარკში და სხვ.

დედაქალაქში უკვე ჩამოვიდა ექსპონატები გამოფენისათვის — „სსრ კავშირის სამხედრო - საზღვაო ფლოტი" (ცენტრალური სამხედრო-საზღვაო მუზეუმის ფილიალი). ეს გამოფენა მოეწყობა გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. დაიწყო მზადება პარკის ტერიტორიაზე ტრადიციული გამოფენის მოსაწყობად, რომელიც მიეძღვნება სამხედრო - საზღვაო ფლოტის ტექნიკასა და შეიარაღებას. მოედნებსა და ხეივნებში დადგმული იქნება საზღვაო სანაპირო ქვემეხები, ჰიდროთვითმფრინავები, ნაღმები და ტორპედები, სანავიგაციო ხელსაწყოები და აპარატები, საზღვაო კავშირის ტექნიკა. პარკის ცენტრში ეწყობა საბჭოთა ფლოტმძღოლების, საბჭოთა კავშირის გმირი მეზღვაურების, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანთა ფოტოპორტრეტების გალერეა. (საკდესი).

საშახტო მოწყობილობის მოდერნიზაცია

სტალინო (საკდესი). ყორიან შტრეკებში სახურავის ბურღვა დიდ დაძაბვას მოითხოვს მბურღავისაგან. საჭირო ხდება ხელში ძნელად დასაკავებელი, მძიმე ელექტრობურღის მუდამ დაკიდებულად დაჭერა. ამის გამო კლებულობს წნევა სახურავზე, მცირდება ნაყოფიერება. ტრესტ „კრასნოარმეისკუგოლის" შევჩენკოს სახელობის შახტის ელექტროზეინკალმა ამხ. არხიპოვმა ელექტრობურღი გადააკეთა. მან ელექტრობურღი ციგაზე გამართა და საკუთარი კონსტრუქციის ავტოგადამცემი გაუკეთა. ბურღის ზევით მიწოდება სპეციალური მექანიზმით ხდება. ამის შედეგად მნიშვნელოვნად შემსუბუქდა მბურღავის მუშაობა, ბევრად გაიზარდა მისი ნაყოფიერება. ამჟამად დონბასის შახტებში არხიპოვის 22 ელექტრობურღი მუშაობს. მათი დამზადება მოწყობილია კომბინატ „სტალინუგოლის" ექსპერიმენტულ სახელოსნოებში.

კომბინატის ექსპერიმენტული სახელოსნოები ამ უკანასკნელ ხანს დიდ მუშაობას ეწევიან საშახტო მოწყობილობის მოდერნიზაციის დარგში. გააუმჯობესეს რეშტაკის ურიკა, რაც 25 პროცენტით ზრდის საკონვეიერო ამძრავის ნაყოფიერებას და უზრუნველჰყოფს ელექტრომოტორების უფრო ხანგრძლივ მუშაობას. სახელოსნოები მუშაობენ, რათა გააუმჯობესონ კონვეიერზე ქვანახშირის დასაყრელი მექანიკური ნიჩბის — „იხვის ცხვირის" კონსტრუქცია. ამ ნიჩბებს ერთ დროს დონბასის შახტებში იყენებდნენ, მაგრამ მერმე მიივიწყეს. გაუმჯობესებული ნიჩბის პირველმა გამოცდამ დადებითი შედეგი მოიტანა.

მაკეევკისა და რუტჩენკის მადანსარემონტო ქარხნებში სპეციალურ საამქროებს ჰქმნიან იმისათვის, რომ მოეწყოს საყელავი მანქანების, კომპრესორების, ვენტილატორების, კონვეიერებისა და სხვა მანქანების იმ ნაწილების მოდერნიზაცია, რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად იხმარება და სწრაფად ცვდება. გაცვეთილ დეტალებს აქ ლითონის ახალ ფენას დააკრავენ, რაც ერთისამად და ერთიოთხად ადიდებს მათს გამძლეობას. ეს დიდ ეკონომიას მისცემს შახტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის

კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ და დავეხმაროთ პირველადს პარტორგანიზაციებს

თბილისის სტალინის რაიონის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრდა პარტორგანოების ანგარიშგება და არჩევნები.

წინასწარი შედეგები გვიჩვენებენ, რომ ანგარიშგება-არჩევნები ჩატარდა ორგანიზებულად, ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკის ნიშნით, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, კომუნისტთა პოლიტიკური და საწარმოო აქტიობის ვითარებაში.

ანგარიშგება-არჩევნები ჩატარდა საკ. კ. პ. (ბ) XVIII საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების ნიშნით.

მაუდის ფაბრიკის, მაცივარკომბინატის, სპილენძის სატკეცი ქარხნის, № 2 ლუდის ქარხნის, საკერვალო სახელოსნოს, № 2 ღვინის ქარხნისა და რაიონის სხვა საწარმოთა პირველადმა პარტორგანიზაციებმა წარსულ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს, წელს მიიღეს დამაკმაყოფილებელი შეფასება. მათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. თუ წარსულ საანგარიშო - საარჩევნო კრებებზე ჩემს ზონაში შემავალი 61 პირველადი პარტორგანიზაციიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება 12 პარტორგანიზაციამ მიიღო, ახლანდელ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე არადამაკმაყოფილებლად შეფასებულ იქნა მხოლოდ 5 პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. მაგრამ ამით როდი ვკმაყოფილდებით, ვინაიდან ამ კრებებზე გამოაშკარავებულ იქნა ცალკეული ნაკლოვანებანი რაიკომების ინსტრუქტორებისა და კერძოდ ჩემს მიერ პირველადი პარტორგანიზაციებისათვის ხელმძღვანელობისა და დახმარების გაწევის საქმეში.

ეს ფაქტი გვავალებს გადაჭრით გავაძლიეროთ პირველადი პარტორგანიზაციებისადმი, პირველადი პარტორგანიზაციების ახლად არჩეული მდივნებისადმი კონკრეტული დახმარება.

ანგარიშგება-არჩევნების შემდეგ პრაქტიკული დახმარება გავუწიე თამბაქოს ფაბრიკის, № 1 პურის ქარხნის და სამშენებლო მასალათა № 2 ქარხნის პირველადი პარტორგანიზაციების ბიუროების მდივნებს. ამ საწარმოთა პირველადი პარტორგანიზაციების ბიუროების მდივნები პირველად არიან არჩეულნი ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე.

თამბაქოს ფაბრიკის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა მკაცრად და სამართლიანად გააკრიტიკეს პარტბიუროს მდივნის ყოფილი მოადგილე პარუნაკიანი, ფაბრიკაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სუსტად დაყენებისათვის. განსაკუთრებით მკაცრად იქნა გაკრიტიკებული პარტორგანიზაციის ბიუროს ხელმძღვანელობა იმისათვის, რომ იგი საამქრო პარტორგანიზაციებს სუსტ დახმარებას უწევდა. მე პირადად დავესწარი საანგარიშო-საარჩევნო კრებას და ყურადღებით მოვისმინე კომუნისტების ყველა გამოსვლა, ჩემს ბლოკნოტში შევიტანე მოკლე შენიშვნები.

საანგარიშო-საარჩევნო კრების მეორე დღეს ფაბრიკის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროსთან ერთად შევუდექი საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის გეგმის შედგენას. ივნისის გეგმაში ჩვენ გავითვალისწინეთ ძირითადი საკითხები, რომელთა გატარებაც საჭიროა და რომლებიც XVIII პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ. გადაწყდა 15 ივნისამდე მოწვეულ იქნას საამქროთა პარტორგანიზაციების მდივნების საინსტრუქციო თათბირი მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით. მომზადებულია რამდენიმე საწარმოო საკითხი პარტბიუროს უახლოეს სხდომაზე, აგრეთვე საერთო დახურულ პარტიულ კრებაზე განსახილველად. საკითხებს ამზადებენ პარტბიუროს წევრები და აქტივი. უახლოესი პარტიული კრება მიეძღვნება მოწყობილობის სიმძლავრეთა გამოყენების საკითხს. ამ კრებაზე მოხსენებით გამოვა ფაბრიკის დირექტორი ამხ. როსტომაშვილი. პარტბიუროს ახალი მდივანი ამხ. აირაპეტოვი გაერკვა იმაში, თუ როგორ უნდა ეწყობოდეს პარტიული მუშაობა და რით უნდა დაიწყოს იგი.

ნ. აკოფოვი — საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის ინსტრუქტორი

○

№ 1 პურის ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო კრებაზე კომუნისტებს თავიანთ გამოსვლებში პირველადი პარტორგანიზაციის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ბევრი მაგალითი მოჰყავდათ. არჩევნების მეორე დღეს პარტბიუროს ახალი შემადგენლობა რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების მუშაკების მონაწილეობით პარტბიუროს ახლად არჩეულ მდივან ამხ. გევორქოვთან ერთად შეუდგა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე წამოყენებულ პრაქტიკულ ღონისძიებათა რეალიზაციის გეგმის შედგენას. როდესაც გადავათვალიერეთ კომუნისტთა პარტიული დავალებანი, ცხადი გახდა, რომ პარტიული დავალებები არასწორად ნაწილდებოდა, ხოლო ზოგიერთ იმ კომუნისტებს, რომლებსაც დავალებები ჰქონდათ, არ შეეძლოთ მათი შესრულება მოუმზადებლობის გამო. საჭირო შეიქნა პარტიულ დავალებათა ხელახალი გადანაწილება კომუნისტთა სურვილისა, მომზადებისა და უნარიანობის გათვალისწინებით. ანალოგიური კონკრეტული დახმარება გაეწიათ სამშენებლო მასალათა № 2 ქარხნის, ასლის გადამღები კინოფაბრიკის და სხვა საწარმოთა პირველადს პარტორგანიზაციებს.

ბევრი რამ ჯერ კიდევ არ არის გაკეთებული, მაგრამ ამჟამად უკვე ჩანს პირველადი პარტორგანიზაციებისათვის რაიკომის ინსტრუქტორების მიერ გაწეული პრაქტიკული დახმარების პირველი შედეგები. სასურველია, რომ პარტიის ქ. თბილისის რაიკომების ინსტრუქტორებმა ერთმანეთს გაუზიარონ, თუ როგორ შეუდგნენ ისინი პირველადი პარტორგანიზაციებისათვის, განსაკუთრებით პირველადი პარტორგანიზაციების ახლად არჩეული მდივნებისათვის დახმარების გაწევას.

ნ. აკოფოვი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. სტალინის რაიკომის ინსტრუქტორი.

საამქროს პარტორგანიზაცია და ტექნოლოგიური დისციპლინა

ამწყობ საამქროში სწყდება ორთქლმავლის შეკეთების ბედი. ამ საამქროს მუშაობა განსაზღვრავს ქარხნის მარკის ღირსებას. აქ შეიძლება საქარხნო მარკის ღირსება დაიცვან, აამაღლონ, მაგრამ აქვე შეიძლება ეს ღირსება შელახონ, ქარხანა შეარცხვინონ. და რომ საქარხნო მარკის ღირსება არ შეიბღალოს, აუცილებელია მკაცრად დავიცვათ ტექნოლოგიური დისციპლინა.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ამწყობი საამქროს პარტბიუროს უსაყვედურეს, რომ იგი ღრმად არ სწავლობდა წარმოების ეკონომიკას, ამიტომ ირღვეოდა გრაფიკი, ადგილი ჰქონდა იერიშობანას, ხშირად არ იცავდნენ ტექნოლოგიურ დისციპლინას, იზრდებოდა წუნდებული პროდუქციის გამოშვება, ორთქლმავლები დეფექტებით მიდიოდნენ ხაზზე და ბრუნდებოდნენ საამქროში განმეორებითი შეკეთებისათვის.

საამქროს ახლად არჩეული პარტბიურო მუშაობას შეუდგა. მის წინაშე დადგა კითხვა, რით, ან საიდან დაეწყო. გადაწყდა: კარგად შეესწავლათ ორთქლმავლების შეკეთების ტექნოლოგიური პროცესი, რადგან წუნდებული პროდუქციის გამოშვების, ორთქლმავლების კვირაობით მოცდენის, საამქროში განმეორებითი შეკეთებისათვის დაბრუნების ძირითადი მიზეზი სწორედ ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევაშია.

პარტბიუროს ინიციატივით შეიქმნა სპეციალური კომისია ინჟინრების ამხ. ოქროცვარიძის, სიმონიანის, ბეგალიშვილის და ოსტატ ამხ. ბუდეშსტსკის შემადგენლობით.

კომისიას დაევალა დაწვრილებით შეესწავლა ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევის მიზეზები. კომისიამ რამდენიმე დღეს იმუშავა, საკითხი გულდასმით და სერიოზულად მოამზადა. 8 მაისს კი საამქროს ღია პარტიულ კრებაზე მოისმინეს ინჟ. ოქროცვარიძის მოხსენება ტექნოლოგიური დისციპლინის შესახებ.

კრებაზე აღინიშნა, რომ ორთქლმავლის ავტომუხრუჭები არაწესიერად კეთდებოდა. მუხრუჭების ცილინდრების მონტაჟის დროს ტექნოლოგიური დისციპლინის ელემენტარულ წესებს არ იცავდნენ. ორთქლმავლის ქვაბის ჩარჩოზე დაშვების დროსაც ირღვეოდა ტექნოლოგიური პროცესი. ორთქლმავალს საამქროდან ეზოში ისე უშვებდნენ, რომ ბევრი ნაწილი აკლდა. დაზგაზე მომუშავეები ბუქსების გარანდვისას სიზუსტეს არ იცავდნენ და შეცდომებს უშვებდნენ. კომუნისტი ოსტატები ამხ. ანთაძე და გრაჩევი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვას.

კრებაზე საქმიანი მსჯელობა გაიმართა. კომუნისტმა ხარატმა ამხ. ტოკარევმა წინადადება შემოიტანა — მძლავრი ორთქლმავლის ბარბაცას ღერძები გაჩარხვის შემდეგ პატარა ორთქლმავლებზე გამოვიყენოთო.

წინათ ასეთ ღერძებს გამოუყენებლად ჰყრიდნენ. ახლა კი ასე არ იქცევიან. მძლავრი ორთქლმავლის ბარბაცას ღერძს გამოიღებენ, გაჩარხავენ და პატარა ორთქლმავლებზე აკეთებენ. ამით დიდძალი ლითონი იზოგება.

კრებაზე ბევრი სხვა წინადადებაც შემოიტანეს და კარგი ღონისძიებები დასახეს. ბევრი მათგანი უკვე განხორციელდა და, უნდა ითქვას, ორთქლმავლების შეკეთების ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა. მაგრამ ამწყობი საამქროდან ყველა ორთქლმავალი უნაკლოდ ჯერ კიდევ არ გამოდის. ეს აფერხებს ტრანსპორტის მუშაობას, ზარალს აყენებს ქარხანას.

კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ამხ. კოჩუაშვილი ხელმძღვანელობს, ორთქლმავლების შეკეთების გეგმას ვერ ასრულებდა. აქ ხშირი იყო წუნის შემთხვევებიც. პარტბიურომ ორთქლმავლების შეკეთების ხარისხის შესახებ 16 მაისს მოისმინა ბრიგადის უფროსის ამხ. კოჩუაშვილის მოხსენება. ამ საკითხის წინასწარ შესწავლა-მომზადება დავალებული ჰქონდა ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს ამხ. ტექმანჯიანს, გზათა სახალხო კომისარიატის ინსპექტორს ამხ. ბუჯიაშვილს და ოსტატს ამხ. ბიულს. ბიურომ კონკრეტული ღონისძიებები დაუსახა ბრიგადას. ამას შედეგიც მოჰყვა. ამხ. კოჩუაშვილის ბრიგადამ მაისში ორთქლმავლების შეკეთების გეგმა ყველა მაჩვენებლის დაცვით შეასრულა.

პარტბიურომ კიდევ ერთი კარგი საქმე გააკეთა. საამქროს უფროსის № 42 ბრძანება არ სრულდებოდა. ბრიგადები არ იცავდნენ წესებს, რომლებიც აუცილებელია შესრულდეს ორთქლმავლის საგამოცდო გადარბენიდან დაბრუნების შემდეგ. კომუნისტი ამხ. მამუჩაშვილი და გლოტოვი ოსტატის ამხ. ბეიტრიშვილის საქმიან მითითებებს არ ასრულებდნენ.

№ 42 ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე პარტბიურომ მოისმინა კომუნისტ ამხ. გ. მნაცაკანოვის მოხსენება. აქაც სათანადო ღონისძიებები დასახეს და ახლა გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საამქროს უფროსის ბრძანება მტკიცედ ტარდება.

მაგრამ ამწყობი საამქროს მუშაობის მიუტევებელი ნაკლი ის არის, რომ აქ ჯერ კიდევ ძალაშია იერიშობანა. ის ფაქტი, რომ თვიური გეგმის 60 პროცენტი მაისის უკანასკნელ ხუთდღეში შეასრულეს, — ნათქვამის დამადასტურებელია. ახლა მთელი ძალები იქითკენ არის მიმართული, რომ დაიცვან გრაფიკი, ბოლო მოუღონ იერიშობანას. განზრახულია უახლოეს დღეებში ჩატარდეს ღია პარტიული კრება სადღეღამისო გრაფიკის დაცვის საკითხზე.

პ. ჭიოკაძე

თბილისის ტროლეიბუსების და ავტოგარაჟის ახლად არჩეული პარტბიუროს სხდომაზე (მარჯვნიდან): მ. მანდენოვი (პარტბიუროს მდივანი), ლ. ლაფანაშვილი (პარტბიუროს მდივნის მოადგილე), რ. ჯოჯუა, ს. ლობაჩოვი არჩევენ სამუშაო გეგმას.

ფოტო რ. აკოფოვისა.



60. პირველადი პარტიული ორგანიზაცია მუშათა, გლეხთა და ინტელიგენციის მასებს აკავშირებს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებთან. მის ამოცანას წარმოადგენს:

ა) მასებში პარტიული ლოზუნგებისა და გადაწყვეტილებათა გასატარებლად სააგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობა და საქარხნო პრესის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა;

ბ) პარტიაში ახალ წევრთა მოზიდვა და მათი პოლიტიკური აღზრდა;

გ) რაიკომისათვის, საქალაქო კომიტეტისა ან პოლიტგანყოფილებისათვის ხელის შეწყობა მთელ მის პრაქტიკულ მუშაობაში;

დ) საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და სხვ. მასების მობილიზაცია საწარმოო გეგმის შესრულებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის და სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის განვითარებისათვის;

ე) საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში უნიათობასთან და საქმის უყაირათოდ გაძღოლასთან ბრძოლა და ყოველდღიური ზრუნვა მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის;

ვ) აქტიური მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საკ. კ. პ. (ბ) წესდებიდან.

პარტიული ქრონიკა

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ბერიას რაიკომში

რაიკომის ბიურომ მიიღო დადგენილება პირველადი პარტორგანიზაციის ახლად არჩეული მდივნებისათვის სამდღიანი სემინარის მოწყობის შესახებ. სემინარზე წაკითხულ იქნება ლექციები შემდეგ საკითხებზე: პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის ორგანიზაციული საკითხები; პროპაგანდისა და აგიტაციის დაყენების შესახებ პირველადს პარტორგანიზაციებში; თავდაცვითი მუშაობის დაყენებისა და კადრებთან პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ. სემინარი სამდღიანია და მას გაივლის 83 პირველადი პარტორგანიზაციის ახლად არჩეული მდივანი. სემინარის მეცადინეობა დაიწყება 9 ივნისიდან.

სემინარის გავლის შემდეგ, რაიკომის ბიუროს დადგენილებით, აღნიშნული ამხანაგებისათვის პერიოდულად ჩატარდება ლექცია—კონსულტაციები პარტიული მშენებლობისა და წარმოების ეკონომიკის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე.

○

ბიურომ რაიკომის ინსტრუქტორებს დაავალა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და მუშაობის გარდაქმნაში პრაქტიკულად დაეხმარონ იმ პარტორგანიზაციების ბიუროებსა და მდივნებს, საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მათი მუშაობა სუსტად ჩაითვალა. ორი თვის შემდეგ რაიკომის ბიუროზე შერჩევით იქნება განხილული ამ პარტორგანიზაციების მუშაობის საკითხი.

○

ივნისის ბოლო რიცხვებში რაიკომის ბიუროს დადგენილებით პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების მოადგილეებისა და საამქროთა პარტბიუროების მდივნებისათვის მოეწყობა სემინარი იმავე პროგრამით, რაც მდივნებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ფოთი, (საქტასი). 2 ივნისს შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის XI პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. ვაჩაძე საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის მოვალეობიდან სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო და მეორე მდივნად აირჩია ამხ. შ. გეთია. პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნად კადრების დარგში არჩეულია ამხ. ნ. გეგუჩაძე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1941 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

საკ გევორქის - ძე **ტუმიანი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1529957, როგორც მსჯავრდადებული ქურდობისა და გაფლანგვისათვის; ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე **ღვინიაშვილი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 2862533, როგორც მსჯავრდადებული სიყალბის ჩადენისათვის; ივანე პაველს-ძე **ვერეშჩაგინი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1940 წლიდან, პარტბილეთი № 3723117, როგორც მსჯავრდადებული ხულიგნობისათვის; ნოვრუზ ისმაილ-ოღლი **ბაირამოვი,** საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2166344, როგორც მსჯავრდადებული სამუშაოდან თვითნებურად წასვლისათვის; კონსტანტინე მეთოდეს-ძე **ლორია,** საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 3080686, როგორც მსჯავრდადებული სპეკულაციისათვის; ვლადიმერ ნესტორის-ძე **შანიძე,** საქ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1532065, როგორც მსჯავრდადებული სპეკულაციისათვის.

კონსტანტინე გამსახურდია

რომანიდან „დავით აღმაშენებელი“

„მუჰამედ გრძელი“

უფლისწულის ლაშქარი ტატით მიდიოდა. ღამე ტყეში გაათიეს, ალგეთის პირად, მხოლოდ მეორე დღეს მიადგნენ მტკვარს.

შერგილ ლიპარტიანი უკვე შეჭადარებული იყო ბრძოლებში. ჭყონდიდელის გაზრდილს ურყევად სჯეროდა თავისი მწვრთნელის შეგონება ყოველი. შეკრთა, როცა გაიგო, რომ უფლისწული დაუყოვნებლივ გაღმა გასვლას არ აპირებდა.

ახლა დაჟინებით ურჩევდა ლიპარტიანი: საირმეს ფონის გასწვრივ დაბანაკებას.

დავითს სიყრმიდანვე ენადირნა მტკვრის ველებზე, ყოველ ჩირგვს იცნობდა ამ მიდამოში. შერგილი და ნიანია აიყოლია.

სწორედ რუსთავს, გაღმით, ტყის პირად გაშლილი ველი დაათვალიერა ცხენდაცხენ.

მტკვრისაკენ ჭაობები იმიჯნებოდა მინდორს, ხოლო სამხრეთიდან — ტყე. აქ გააჭრევინა ახოები, ბანაკებისათვის.

ბრძანა კარვები ურთიერთისაგან ისრის საწვდენზე დაედგათ, ჯებირები გაეკეთებინათ ტყეში, რათა მტერს არ მოევლო იქიდან, ხოლო ტყესა და ჭაობებს შორის მდებარე ველი ხანდაკებით დაეცვათ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან.

ესეც დასძინა: კარავთა შორის უმრავლესნი ტყეში უნდა ყოფილიყო, მხოლოდ რამდენიმე გამოდიოდა ველზე იმ გვარად, რომ რუსთავის ციხიდანაც დაენახათ ისინი.

აღმოსავლეთისაკენ ნიანია და მისნი სპანი დააყენა, დასავლეთისაკენ შერგილ ლიპარტიანი ჯარითურთ, ხოლო შუაში, უფლისწულის დიდი კარვის გარშემო, დაბანაკდა სპაი ქართლისა.

დღისით გაჰყავდა ბანაკიდან მოლაშქრენი, ავარჯიშებდა შვილდის მოზიდვაში, უუზანგოდ ცხენზე შეხტომას ასწავლიდა, შუბების დროს ვერცხლის დრაჰკანის აღებას, ჯებირების ნაცვლად ეკლიან ბარდებზე გადახტუნებას ცხენისას, ხანდაკების გამოყენებას, როცა ქვეითად ბრძოლა უხდება მხედარს, ცხენის დაწვენას მინდორზე და საფრად გამოყენებას მისას.

ამას ყოველივეს ხედავდნენ რუსთავის მეციხოვნენიც შორიდან. საღამოობით კარავში იწვა უფლისწული მგლის ტყავებისაგან გაკეთებულ საგებზე, ფსალმუნს კითხულობდა ჟინჟილის შუქზე: თორის არ იძინდა, სანამ პირველ საყვირის ხმას არ გაიგონებდა, მთელი ღამე ესმოდა ტურების ერთობლივი კივილი, მგლების ყმუილი, ვარხვებისა და ტყის ბარტყების გნიასი.

გაეიდოდა ხანდახან კარვიდან, უთვალთვალებდა გუშაგებს, ამოწმებდა ტალად[1]) დამდგართა სიფხიზლეს.

თავადაც უყვარდა ღამეული სეირნობანი მდინარის პირად, როცა ადამიანებს დაეუფლება ძილი და ტყიურნი არ ისვენებენ მაინც, იბრძვიან სიცოცხლისათვის ბნელში, ხოლო ცადახრილი კანკელივით კაშკაშებს, ვარსკვლავები აფახულებენ თვალებს, თითქოს მიჯნური წამგიყოფდეს ციდან და გპირდებოდეს კვლავ მოხვევას იმ სიყვარულისას, რომელსაც დღემდის ვერ მიხვდომია გული.

ღამით მსტოვარებს აგზავნიდა რუსთავს, არც ნიანიასა და არც შერგილ ლიპარტიანს უმხელდა, თუ რად არ გადადიოდა მტკვარს გაღმა?.

გაოცებული იყო რუსთავის ციხისთავი ალი-ბეჰადურიც.

მას ცნობა ჰქონდა უფლისწულის ლაშქრის თრიალეთზე გადმოსვლის გამო.

თავდაპირველად ეგონა: მტკვარს გადმოლახავენ და შემოეწყობიანო დაუყოვნებლივ ციხეს. როცა დაყოვნდნენ მცირეს, ასე იფიქრა: მტკვრის ხეობაში სათარეშოდ წამოსულანო გურჯნი.

ღამის მსტოვარი მოუვიდა რუსთავიდან უფლისწულს, დაიმარტოხელა კარავში და გამოჰკითხა.

მეორე დილით უთენია ადგა, ნიანია, შერგილი და მცირე ამალა აიყოლია, აღმოსავლეთისაკენ მიჰყვნენ ცხენდაცხენ მტკვრის ნაპირს. როცა საირმეს ფონს მიაახლოვნენ, ბექობზე შეაგდო დაითმა ცხენი, თითო მიაშვირა გადაღმელ ტყეს, ეუბნება შერგილსა და ნიანიას:

„აი ამ ტყეში დგას აბუ-მუჰამედ ატტავილის ჯარი, ხუთი ათასი ცხენკეთილი მხედარი, კვირიკეც მასთანაა თურმე, კახთა მეფის ძმისწული, და ლიპარიტისძე რატი.

საირმეს ფონზე რომ გავსულიყავით, მუჰამედ-ატტავილის ჯარი მტკვარზე გასვლას არ გვაცლიდა, გინდაც ციხეს მივდგომოდით, ზურგიდან დაგვივლიდნენ უთუოდ“.

○

აბუ-მუჰამედ-ატტავილ ან მუჰამედ „გრძელი“, როგორც ქართველნი უწოდებდნენ მას, ტფილისის ციხისთავი იყო ოდესღაც. ბოლოს ამირობა მოინდომა და საწამლავი შეაპარა ტფილისის ამირას ბენ-ჯაფარს.

დროზე გაუგეს და ძელზე გასმა დაუპირეს, მაგრამ შურის ციხიდან გაიქცა, მეპურის სამოსით გადაცმული. თავი მოუყარა შირვანსა და ქართლში მოთარეშე თურქთა ბრბოებს, დაძრწოდა თავისი ლაშქრითურთ, ყველას შველოდა, ვინც ოქროს უჩვენებდა, იგი ეხმარებოდა ლიპარიტ ივანესძეს და ვარდან სვანთა ერისთავს, როცა მათ გიორგი მეორეს „აუშალეს ქვეყანა“ და „ნიანია ქვაბულისძემ წარიღო საჭურჭლენი ქუთათისისა“.

სამ წელს სომხეთს არბევდა. შირვანის ციხეთა შელეწვაშიაც მიშველებია მრავალთ, გიორგი მეორეს შევაჟრა, აგალებინებო ვეჟინის ციხეს, მაგრამ მოაღწია თუ არა გვარამ ერისთავის ლაშქარმა, გაჯანჯლდა მეფე, რადგან ოცი ათას ოქროს ბოტინატს[1]) ითხოვდა მუჰამედ გრძელი, კვირიკემ გადაიბირა ბოლოს, და რუსთავის ციხისთავს მიჰგვარა მოსყიდული-მოსყიდულს.

შერგილ ლიპარტიანი მაინც თავისას არ იშლიდა: მტკვარი გადავლახოთ და ველზე შევიბათო მუჰამედ-ატტავილს.

ნიანია დადუმდა, არც დავითი ამბობდა რამეს.

მესამე დღეს ისევ მოუვიდა უფლისწულს მსტოვარი.

რუსთავის ციხეში ხანგრძლივად უთათბირნიათ ოთხთა: კვირიკეს, რუსთავის ციხისთავს, ალი-ბეჰადურს, მუჰამედ-ატტავილს და ლიპარიტის ძეს, რატის.

მსტოვარს ვერ გაეგო, რა მოეთათბირნათ. საღამოს ციხიდან გასულა მარტოკა აბუ-მუჰამედ-ატტავილ, ეგეც დასძინა ამბის მომტანმა:

თეთრი ჩალმით ჰქონდაო შებურვილი თავი, მწვანე მოსასხამი ეცვა, შავი ხანჯალი ზედა ერტყა, ხანჯლის ვადაზე სწვდებოდაო გრძელი და უღალი წვერი.

უფლისწულმა მსტოვარი დაითხოვა. შერგილი და ნიანია ახმობინა მანდატურს.

მახარაი მიწაზე იჯდა ინახით, წინ ყალივანი ედგა, თრიაქსა სწევდა ლოყებ გაბუშტული.

ახლა ნიანიაც ამას ურჩევდა უფლისწულს: მაინც მთვარიანი ღამეებია, ნავტიკებიც თანა გვაქვს, უფონოდ გადავლახოთო რუსთავს ქვემოდ მტკვარი, შორიდან მოვუაროთ და თავს დავესხათო მუჰამედ-ატტავილს.

სდუმდა გაჯიქებული უფლისწული, არც იმას ამბობდა თუ სანამდის უნდა ეცადა მტკვარს გაღმოღმა ლაშქარს?.

ლოდინისაგან მოგერილი მღელვარება უზომოდ ქანცავსო სპათა. ეს სთქვა ნიანიამ.

შერგილ ლიპარტიანს ბრძოლა მოსწყურებოდა, ბუნებით მშვიდსა და დარბაისელ რაინდს.

ველარ აიტანა უფლისწულის დუმილი და ჯიქურ შეჰკადრა:

„დაუჯდომელის კითხვაში ხომ ვერ მოვიგებთ, უფლისწულო ბატონო, ომს?“.

უფლისწულს ეამა ეგზომ წრფელი შეპაექრება ყმისა, ეს გაიფიქრა: ჯიქური სიტყვა სჯობიაო ვაზირთა უსაშველო ლიქნას, უნდოდა ეპასუხნა ლიპარტიანისათვის, მაგრამ ნიანიამ დაასწრო კითხვა:

„მაინც სანამდი უნდა ვიცადოთ, უფლისწულო, ამ ჭაობებში?“

„უნდა მომწიფდეს ჟამი“...

ვერც ამ თქმიდან შეატყვეს საიგრომსა და ტაოელთა ჯარების სარდლებმა, რა განზრახვანი ჰქონდა უფლისწულს გულში?

„ეგ იცოდეთ, ყოველ წუთს მზად უნდა ვიყოთ. ბანაკების გზირებს თვალი ადევნეთ, ასისთავებმა შეამოწმონ ხოლმე მათი სიფხიზლე“.

„ყოველღამ მე თავათ ვდგები სამჯერ, ბანაკს გარს ვუვლი და ვამოწმებ, გზირებსა და მსტოვარებს თავათ ვაგზავნი საჭერეტად, თვალყურს ვადევნებ ტალად მდგართა ცვლას“.

ეს სთქვა ნიანია ბაკურიანმა.

მე საერთოდ არ მძინავს ღამლამობით. ამბობდა შერგილი.

უფლისწულმა არა მიუგო-რა, ადგა, კარვიდან გავიდა და ვარსკვლავებს დაუწყო ჭვრეტა.

ნაბიჯის ხმა შემოესმა: მოიხედა, მახარაი ამოსდგომოდა გვერდით.

„იმ ვარსკვლავს დააკვირდი, უფლისწულო, ირმის ნახტომის კიდეზე. ბოროტი თვალი ხომ არაა ნეტავი?.

სწორედ იმ ადგილას იყო ის ვარსკვლავი, რომელიც კონსტანტინოპოლში გამოჩნდა ოცდა სამი წლის წინად. დოკიდა დაარქვეს მას, სახრჩობელას წააგავდა, დასავლეთისკენ მიდიოდა მსგავსად მთვარისა.

დიდი თურქობა მოჰყვებაო ამას, ასე ამბობდნენ იდუმალთა მიმთხრობნი“

სთქვა მახარაიმ და თავათაც მიაშტერდა ცთომილს.

ერთმა კვირამაც განვლო, მთელი ბანაკი დარწმუნდა: აღარ აპირებსო უფლისწული რუსთავის აღებას. სულწასულთაგანი ასე ფიქრობდა ზოგი: უფლისწული ხამი სარდალია, შესაძლოა შედრკაო ჭაბუკი.

ალბათ, ვეჟინის აღებას ულდის და მერმე შემოეწყობაო რუსთავს, ასე ვარაუდობდნენ სხვანი.

ერთ საღამოს ნიანია ბაკურიანს მოუნდა მტკვრის ნაპირების დაზვერვა თავათ, ასიოდე მოისარი აიყოლია, მუხლმაგარ ცხენებზე მსხდარნი, მტკვარს მიჰყვა აღმოსავლეთისკენ ვილდაველ.

უკაცრიელ ჭალებში გარეული ტახები დაკვენტრიშობდნენ, ჯეირნების ჯოგები დაჰქროდნენ უმრავლესნი ცხვრისა.

ადამიანის ჭაჭანებაც არსად ისმოდა, მხოლოდ მტკვარს გაღმა თვალი მიატანეს დედაწულიანად მიმავალ მცირე ბრბოს თურქებისას. ერთ ტყეში შევიდნენ ელნი თავიანთის ფალანგებითა და ხვასტაგით.

გარემოს აყრუებდა ვარხვების ხარხალი, ფოცხვერების ჩხავილი და ყმუილი მგლებისა.

ნიანია თავგადადებული მონადირე იყო. ტყიურის გამოჯავრებაში გაწაფული ფრიად.

მოდგებოდა თუ არა ირმის მყვირალობა, შევიდოდა ტყეში, შეიბურვოდა სუროთი, ირმისებრ ბღავილს მორთავდა, მოიტყუებდა ფურის მაძებარ ხარს.

ასევე კარგად ბაძავდა იგი ღომების დვრინვას, ფოცხვერების ჩხავილს, აღრიალებასა და ბუვრდღუნს დათვისას.

ახლაც ამ გავერანებულ გარემოში ნადირობა მოინატრა ტყიურის გნიასის გამგონეს, მაგრამ გაახსენდა მყისვე: უფლისწულმა პირველი დღიდანვე აღუკვეთა ნადირობა ყველას, რათა ამ საქმეს არ გაეტაცნა სპანი და კარვების ახლოს ყოფილიყვნენ დღისით და ღამით.

უკვე ბანაკისაკენ უკან მომავალს ზედ გზისპირა ჭოჭიდან[1]) წამოუვარდა უზარმაზარი ტახი და პირდაპირ დაადგა საცხენე გზას.

ველარ გაუძლო ამ ცთუნებას ჭაბუკის გულმა, ცხენს დეზი ჰკრა, შემართული ჭოროლით გამოუდგა ოტიბულს.

ტახმა რა იგრძნო, მომეწევაო ცხენი, ჭაობისაკენ გაუხვია მხარმარჯვენით. ნიანია უნაგირიდან გადმოიხარა, ზედ ყურიმალში მიაწვდინა ჭოროლი, ტახი დაიჭრა, მაგრამ ჭაობში შესწრო ცხენს.

ვეღარ შეიკავა ბედაური მხედარმა და უშველებელ ტლაპოში ჩაიფლნენ სამნი.

გადმოხტა ნიანია და მახვილი აძგერა ნადირს.

მოუსწრეს სპათა, ძლივს ამოათრიეს ჭაობიდან ეშვი და ცხენი. თხემიდან ტერფამდის ამოიწუმპა მხედარი.

საღამოს შეაცივა და კარავში მიბრუნებულს მოეძალა ხურვება.

მოკლული ტახი კარვის წინ დააგდეს სპათა.

დათვის ტყავი წამოისხა ნიანიამ, ძილფხიზლობდა კარავში მწოლარე.

ნაშუაღამევს ადგომა მოიწადინა, იფიქრა ავდგები, მივხედავო გუშაგებს, მაგრამ მუხლების ტკივილი იგრძნო უეცარი.

თავისი მეაბჯრე მოიხმო, უბრძანა:

ხანდაკებისაკენ წაეყვანა მოისარნი, გაესინჯათ, თუ ფხიზლობდნენ გუშაგნი.

ცივი ქარი დაჯირითობდა ველზე, მეაბჯრეს დაეზარა ტყეში მდგომ კარვებისაკენ გავლა და იქიდან გამოყვანა სპათა, მოხსნა ნიანიას კარვისმცველნი და ხანდაკებისაკენ წარიტანა თან.

მთვარე უკვე ამოსული იყო, როცა ტაოელმა მოისარებმა დალანდეს ველდაველ ქენებით მომავალი ცხენოსანი ლაშქარი. ლანდებივით გალურსულნი ისხდნენ რკინის ჩაბალახიანი მხედრები უნაგირებზე, ცხენების თქარათქური და ფრუტუნი ისმოდა მხოლოდ, ბედითი ლაპლაპი გაჰქონდათ თორ-მუზარადებს.

დახოცეს ხანდაკებთან ტალად მდგარნი სპანი. ნიანიას მეაბჯრემ მოუსწრო ამ ამბავს, ჭოროლი აძგერა მხედართაგანს ერთს, მაგრამ სულ მალე შუბზე წამოაგეს იგი, ხანდაკები გადალახეს, უგრძნეულად შემოაგლიჯეს ბანაკს ცხენები და მიაშურეს ტყის პირად გაშლილ კარვებს.

ცხენების ფრუტუნი რა შემოესმა, ასე იფიქრა ნიანიამ: მსტოვარნი მოსულანო რუსთავიდან, შეხმიანება მოინდომა, მაგრამ გაიტერინა, ყური მიუგდო.

კარვის კართან მოღწეულმა მხედრებმა მიწაზე გდებული ღორი რა შენიშნეს, „დონღუზ“[1]) დასცდა ერთ მათგანს.

ნიანია წამოვარდა, მახვილს მისწვდა, დათვის ტყავი წამოისხა ზედ, სწორედ ამ დროს კარავში თავი შემოჰყო ჩალმიანმა, წვეროსანმა თურქმა, ნიანიამ დაიღრიალა ისევე, როგორც დათვს ჩვევია ხოლმე, როცა ბერიოში შეისწრებენ მონადირენი.

თურქები შეკრთნენ, ასე ეგონათ: შინაური დათვი ჰყოლიათო ცალიერ კარავში და განერიდნენ.

ნიანიამ კარვის კალთა გასჭრა სწრაფად, კარვის უკან იცდიდა მცირე ხანს ხმალშემართული და როცა მხედრები კვლავ შემოახტნენ ცხენებს, ტყეში მდგარ კარვებს მიაშურა, სცეს გუშაგებმა საყვირებს. წამოსცვივდნენ ტაოელნი, შუბებს წაავლეს ხელი, ხურვებისაგან დასუსტებულს მუხლი ეჭრებოდა ნიანიას, ცხენს შემოახტა მაინც და უბრძანა სპათა: მიჰყოლოდნენ ფეხდაფეხ. კარავში წამოწოლილ უფლისწულს ფსალმუნი ეპყრა ხელში, ხოლო მახარაის ჟინჟილი—და მგლის ტყავზე დაჩოქილი უსმენდა.

სწორედ ამ ლექსს კითხულობდა უფლისწული:

...„ღმერთო, უშჯულონი აღდგეს ჩემზედა და კრებულთა ძლიერთამან იძიეს სული ჩემი“...

და ამ დროს კარვის გარედან მოისმა ცხენთა ფქარუნი, აბჯრის ჟღრიალი, გუშაგთა ყივილი.

უფლისწული ზეწამოიჭრა, მუზარადი დაიხურა, ცალ ხელში მახვილი აიღო, ცალშიაც ფსალმუნი შერჩა.

სამი, ხმალშემართული მხედარი უგრძნეულად შემოვიდა კარავში.

გრძელწვერა, შავხანჯლიანი, ახმახი მოუძღოდა მათ წინ.

მახარაიმ იცნო მუჰამედ გრძელი, ანთებული მაზხალა ესროლა სახეში, ჩალმიანმა მოასწრო განზე გადახრა თავისა, ხმალი გადაუქნია უფლისწულს, მაგრამ კარვის ძელზე მოცარულმა, დავითს მუზარადზე დაჰკესა ფოლადმა. უფლისწულმა გამართა მკლავი და კარავში გაგორდა თეთრჩალმიანი თავი.

უკუიქცნენ დანარჩენი თურქნი, რადგან მუჰამედ ატტავილის წაქცევის შემდეგ, ხმალმოსაქნევი ადგილი აღარ იყო კარავში. გარედ გასულთ ნიანია შეეხეთა, ერთი მათგანი ხმლის წვერზე წამოაგო ბაკურიანმა, მეორესაც ვიღაცამ გაუყარა შუბი.

უფლისწულმა არ ისურვა ნიანიასაგან მორთმეულ ცხენზე შეჯდომა, ქვეითად გვიჯობსო ცხენოსნებთან ბრძოლა,. რათა მტერი და მოყვარე იოლად გაარჩიონო სპათა.

შერგილ ლიპარტიანის კარვებამდის ვერ მიესწროთ თურქთა, მას უკვე ოთხმწკრივად დაეხაზმულნა. შუბშემართულნი მოჰყავდა სპანი, მეწინავენი ყიენებდნენ, ივრისელნი და აფხაზნი, უმოწყალოდ სცემდნენ ჭოროლებს მოზღვავებულ ცხენოსნებს.

ახალი და ახალი რაზმეულნი გამოცვივდნენ ქართლის სპათა ბანაკებიდან, მათ უკვე მოესწროთ ცხენზე შეჯდომა.

უფლისწული მიხვდა მუჰამედ გრძელის მიერ დაშვებულ შეცდომას, მას ხანდაკებთან უნდა დაეტოვებინა ცხენები, უბრძანა სპათა, რათა ცხენებიდან გადმომხტარიყვნენ, თავათ წარუძღვა ქვეითებს, შეუძახა ომახიანად, ჭოროლსა სცემდა მკლავმაგარი თურქის ცხენოსნებს.

მახარაის ხმლის წვერზე წამოეგო მუჰამედ გრძელის თეთრჩალმიანი თავი, მოკლულისავე ცხენზე გადამჯდარი ჰყვიროდა თურქულად: გურჯებმა მოგვიკლესო მუჰამედ-ატტავილ.

რა შეიცნეს თურქთა, აღარ გვყავსო ბელადი, შედრკნენ, უკუიქცნენ დასავ-

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

---

[1]) ტალა—გუშაგი, ყარაული.

[1]) ბოტინატი—კეისრის ბოტანიატესის ანუ ბოტინატის მიერ მოჭრილი ფული დავით აღმაშენებლის დროს ხმარებაში იყო საქართველოში.

[1]) ჭოჭი—ჭაობი.

[1]) „დონღუზ“—თურქულად—ღორი.

კანონპროექტი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რწმუნებულების გაფართოების შესახებ

ნიუ-იორკი, 3 ივნისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, საზღვაო სამინისტრომ რუზველტის მოწონებით მოითხოვა, რათა კონგრესმა ამერიკის შეერთებულ შტატებში საგანგებო მდგომარეობის არსებობის დროს ნება დართოს პრეზიდენტს კონფისკაცია უყოს ყოველგვარ საკუთრებას, „რომელიც კი აუცილებელი იქნება ნაციონალური თავდაცვის საჭიროებისათვის". ეს კანონპროექტი პრეზიდენტს ფართო რწმუნებულებას აძლევს. იგი ითვალისწინებს, რომ, როცა პრეზიდენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში საგანგებო მდგომარეობას აცხადებს, მას უფლება აქვს დროებით ან სამუდამოდ კონფისკაცია უყოს ყოველგვარ კერძო საკუთრებას, რომელიც შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ნაციონალური თავდაცვისათვის ანდა, საომარი მასალების აგებისა, წარმოებისა, ტრანსპორტირებისა, შენახვისა და რემონტისათვის. კანონპროექტი ითვალისწინებს კონფისკებული საკუთრების კომპენსაციას.

ამერიკის არმიის მანევრები

ნიუ-იორკი, 3 ივნისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო ამერიკის არმიის უდიდესი მანევრები. 3 დივიზიამ მანევრები დაიწყო საველე პირობებში ტენესის შტატში. 15 ივნისს ამ ნაწილებთან პირობით ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებს ჯავშანსატანკო დივიზია. სააგენტო აღნიშნავს: ეს პირველი შემთხვევა იქნება, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოწყობილ მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ ჯავშანსატანკო ნაწილები.

როგორც ჟურნალი „არმი ენდ ნეივი ჯორნალი" გადმოგვცემს, მანევრების პროგრამით გათვალისწინებულია: 8 დივიზიის მანევრები, მათ შორის ერთი ჯავშანსატანკო დივიზიისა; მანევრები იქნება ლუიზიანის შტატში 16-დან 30 აგვისტომდე; 18 დივიზიის მანევრები, მათ შორის ორი ჯავშანსატანკო დივიზიისა პლუს დამატებითი სატანკო ბატალიონები, საჰაერო ძალები და პარაშუტისტთა ერთი ბატალიონი, — ლუიზიანის შტატში 1-დან 30 სექტემბრამდე; 11 დივიზიის მანევრები, მათ შორის 2 ჯავშანსატანკო დივიზიისა პლუს სატანკო ბატალიონები, საჰაერო ძალები და პარაშუტისტები, — ჩრდილოეთ და სამხრეთ კაროლინის შტატებში 3-დან 30 ნოემბრამდე. გარდა ამისა, ჩატარდება კიდევ მთელი რიგი მანევრები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ნაკლები ძალები. ჰფიქრობენ, რომ საერთო პროგრამით ამა წლის მანევრებში მონაწილეობას მიიღებს 500 ათასზე მეტი კაცი.

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, რომ ამა წლის მანევრები ამერიკის არმიის უდიდესი მანევრები იქნება. სექტემბერს მანევრებში მონაწილეობას მიიღებს 500 ათასზე მეტი კაცი. მანევრებს ხელმძღვანელობას გაუწევს არმიის მთავარი სარდლობა. გაზეთი წინასწარ შეფასებას აძლევს მანევრებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს მანევრები, განსაკუთრებით თავის დასაწყის სტადიაში, თვითმფრინავების ნაკლებობის გამო მთელ რიგ სიძნელეებს შეხვდება. მანევრების დასაწყისი სტადია უფრო წინანდელ ომს მოგვაგონებს, ვიდრე თანამედროვე ომს, რამდენადაც არმიას საკმაო რაოდენობით არ მოეპოვება საჭურველი, მათ შორის ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნები, საზენიტო ქვემეხები, 105 და 155 მილიმეტრიანი ზარბაზნები და ზოგიერთი ტიპის სატვირთო მანქანები. გაზეთი აღნიშნავს, რომ არმიას იმედი აქვს ყველა ეს ნაკლი ჯერ კიდევ 1942 წლის დადგომამდე აღმოფხვრას.

ამერიკის არმიის შტაბის უფროსმა, გენერალმა მარშალმა მომავალი მანევრების შესახებ გაკეთებულ განცხადებაში უარჰყო ცნობა, რომ არმია ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს ქვეითი ჯარის მომზადებას. მარშალმა განაცხადა, რომ ყველა ჯარისკაცმა უნდა გაიაროს ძირითადი სწავლება და მხოლოდ შემდეგ უნდა მიიღოს სათანადო სპეციალური მომზადება. მარშალის სიტყვით, ამერიკის არმია ევროპის არმიებისაგან განსხვავებით, რომლებიც ნაგულისხმევი მტრის ტერიტორიას იცნობენ, მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ ყოველ ადგილას აწარმოოს ოპერაციები. მარშალმა აღნიშნა, რომ ამერიკის არმიის სახმელეთო ძალები ამჟამად 27 ქვეითი დივიზიისაგან, 4 ჯავშანსატანკო დივიზიისაგან, 2½ საკავალერიო დივიზიისა და 5 სატანკო ბატალიონისაგან შესდგებიან. 10 დამატებითი სატანკო ბატალიონი 1 ივნისის შემდეგ მოეწყობა. არმიას განზრახვა აქვს მიმდინარე წლის შემოდგომაზე შექმნას 2 დამატებითი ჯავშანსატანკო დივიზია და ცოტა უფრო გვიან—2 დივიზია.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, სამხედრო მინისტრის თანაშემწემ პატერსონმა 28 მაისს ქალაქ ნიუ-იორკის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა კრებაზე გამოსვლის დროს განაცხადა, რომ ამჟამად არმიის პირადი შემადგენლობის დაახლოებით ერთ მეოთხედს შეადგენენ ქვეითი ჯარის ნაწილები და დაახლოებით 23 პროცენტს — სამხედრო-საჰაერო ძალები.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, ბენინგის ფორტის (ჯეორჯიის შტატი) სამხედრო სასწავლებელმა მოამზადა პარაშუტისტთა პირველი ბატალიონი 500 კაცის შემადგენლობით და განზრახვა აქვს ნოემბრამდე კიდევ მოამზადოს 3 ბატალიონი. სასწავლებელთან აშენებულია 75 მეტრი სიმაღლის 2 სასწავლო საპარაშუტო კოშკური.

ამას წინათ ამერიკის პრესა იუწყებოდა, რომ ამერიკის არმიამ გადამღობ აეროსტატთა კომანდების მოსამზადებელი სკოლა გახსნა. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნი" გადმოგვცემს, კაუჩუკის მწარმოებელმა ზოგიერთმა ფირმამ უკვე დაიწყო აეროსტატების აშენება, რომლებიც გავსებული იქნება არაალებადი გაზით—ჰელიუმით.

ქალებისა და ბავშვების ევაკუაცია კვიპროსის კუნძულიდან

ნიუ-იორკი, 3 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ნიკოზიიდან (კვიპროსის კუნძული) იუწყება, კუნძულის ხელისუფლებამ, კვიპროსზე ღერძის სახელმწიფოთა თავდასხმის მოლოდინში, დაიწყო ინგლისელი ქალებისა და ბავშვების ევაკუაცია ეგვიპტეში. კვიპროსის მცხოვრებნი კუნძულის შუაგულისაკენ იგზავნებიან.

ახალი რამ საზღვარგარეთულ ტექნიკაში

მავთულის კონტაქტური შედუღება

ფირმა „ჯენერელ ილექტრიკმა" (ა. შ. შ.), როგორც ჟურნალი „სტილი" იუწყება, შეიმუშავა ასწილადიანი მილიმეტრი დიამეტრის მავთულის კონტაქტური შედუღების მეთოდი. ამ პროცესს იყენებენ პერიმეტრების — თბოელექტროხელსაწყოების ელემენტების გასაკეთებლად; ამ ხელსაწყოებს კი ფართოდ ხმარობენ მაღალი ტემპერატურის გასაზომავად. პერიმეტრების ელემენტების შედუღების ჩვეულებრივი მეთოდები ბევრ სიძნელეს შეიცავს.

დასახელებულმა ფირმამ გააუმჯობესა აგრეთვე ეგრეთწოდებული დაკვრითი შედუღების პროცესი (ელექტროგანმუხტვით), რაც საშუალებას იძლევა აკურატად იქნას შედუღებული პაკეტი, რომელიც შეიცავს 0,8-მდე მილიმეტრი სისქის 199 ფოლადის ფურცელს.

გაუმჯობესებული ფოტოკამერა

„ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გააკეთეს ახალი ფოტოკამერა ფერადი ფოტოგრაფიისათვის. კამერაში მოწყობილია სპეციალური ნათურა, რომლის შუქი არ ამახინჯებს ფერებს, როგორც ის ნათურა, რომელსაც ჩვეულებრივ ხმარობენ აალებისათვის, და არ მოითხოვს ფილტრებს. გამძლეობა ამ ნათურისა, რომელიც ქსელიდან იკვებება, ისეთივეა, როგორც ნორმალური ელექტრონათურისა. ნათურის შუქი კამერის შიგნით დამონტაჟებული სარკით აირეკლება გადასაღებ ობიექტზე და შემდეგ სარკის ჰუპრუტანით და ლინზების სისტემით ბრუნდება ფოტოაფსკზე. ფოკუსზე დაყენება ხდება ავტომატურად და უდიაფრაგმოდ.

უცხოეთის ქრონიკა

⊙ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკის ლონდონელ ელჩს ვაინანტს რუზველტისათვის არ ჩამოუტანია ინგლისის მთავრობის სპეციალური მიმართვა. ვაინანტი ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ იმისათვის ჩამოვიდა, რომ ინფორმაცია მიაწოდოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას და მიიღოს მისგან ინფორმაცია.

⊙ საჰაერო მიმოსვლის ერთერთი ამერიკული კომპანია უახლოეს ხანში გახსნის საჰაერო ხაზს ლა-პასსა და კორუმბას (ბრაზილია) შორის; ამ ხაზის სიგრძე 1.200 მილი იქნება. დღემდე ეს ხაზი გერმანელთა ხელში იყო.

⊙ ესპანეთის ავიაციის სამინისტრომ გადასწყვიტა ფართო მონაწილეობა მიაღებინოს კერძო კომპანიებს ესპანეთში ყუმბარმშენების დამამზადებელი ქარხნების მშენებლობაში.

⊙ ინგლისის ამერიკელი ელჩი კამპბელი ხელმძღვანელობას გაუწევს ინგლისის ინფორმაციის გავრცელებას ამერიკაში. როგორც ფიქრობენ, იგი ინფორმაციის სამინისტროს დაემორჩილება და ელჩის პოსტიდან გადადგება.

⊙ პენჯაბის (ინდოეთი) გლეხთა კავშირმა პროვინციის პრემიერ-მინისტრს წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ომმა მძიმე გავლენა მოახდინა გლეხების ეკონომიურ მდგომარეობაზე. ვალების მძიმე ტვირთი ძალიან ხშირად აიძულებს მათ მევახშეებს გადასცენ თავიანთი მიწა. გლეხთა კავშირი მოითხოვს შემცირდეს გადასახადები მიწითა და წყლით სარგებლობისათვის, სამედიცინო დახმარება გაეწიოთ გლეხებს და მოეწყოს სასოფლო ადგილებში ვეტერინარული პუნქტები.

⊙ მანილიდან (ფილიპის კუნძულები) მიღებული ცნობების თანახმად, სან მიგუელის პლანტაციებზე პოლიციელებსა და მუშებს შორის მომხდარი შეტაკების დროს მოკლულია 3 პოლიციელი და 2 მუშა. პოლიცია აპატიმრებს პროფკავშირში შემავალ მუშებს.

⊙ პარიზის დიდ ლიცეიში, სადაც 14-15 წლის ასაკის ბავშვები სწავლობენ, გამოკვლეულ იქნა მოსწავლეთა ფიზიკური მდგომარეობა. გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ სისტემატური შიმშილობის გამო, ბავშვთა მხოლოდ 20 პროცენტი ვითარდება ნორმალურად და რამდენადმე იმატებს წონაში, 60 პროცენტს არც სიმაღლე ემატება და არც წონა, 20 პროცენტი წონაში კლებულობს.

3 ივნისი (საკდესი).

ლერმონტოვის დღეებისათვის. მ. ი. ლერმონტოვის ბარელიეფი. ელენე ნიკოლოზის-ასულ ბადრიძის ნამუშევარი. ე. ბადრიძე (მარჯვნივ) მუშაობს ბარელიეფზე.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ახალი ექსპონატები

მაიაკოვსკი, (საქდესი). ვ. ვ. მაიაკოვსკის სახლი-მუზეუმი გაცხოველებით ემზადება გახსნისათვის, რაც 19 ივლისს, პოეტის დაბადების 48 წლისთავზე მოხდება.

დაიწყო და ივლისის პირველ რიცხვებში დამთავრდება ორი მემორიალური ოთახის გაფორმება. ამ ოთახების საბოლოო მოწყობას პირადად უხელმძღვანელებს და მთელს მუშაობას კონსულტაციას გაუწევს პოეტის და—ლიუდმილა ვლადიმერის-ასული.

პოეტის დედა—ალექსანდრა ალექსანდრეს-ასული, დები ლიუდმილა და ოლღა ვლადიმერის-ასულნი დიდ მზრუნველობას იჩენენ სახლ-მუზეუმისადმი, სისტემატური მიმოწერა აქვთ სახლ-მუზეუმის დირექტორთან, აინტერესებთ და ეცნობიან ექსპონატების გამოფენისათვის მზადების ყველა საკითხს, მოსკოვიდან გამოგზავნეს მრავალი ნივთი, რომლებიც მაიაკოვსკების ოჯახის საკუთრებას შეადგენდნენ, როცა იგი ბაღდათში ცხოვრობდა.

მოსკოვიდან მიღებულია პოეტის წიგნების პირველი გამოცემანი, რომლებიც ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ. მათ შორის არის: „ვლადიმერ მაიაკოვსკის „ტრაგედია", პოემის—„შარვლიანი ღრუბელი" — პირველი გამოცემა, 1916 წელს მაქსიმ გორკის დახმარებით გამოცემული პოეტის ნაწარმოებთა კრებული.

სახლ-მუზეუმმა მიიღო აგრეთვე მრავალი ფოტო-სურათი და პლაკატები, რომლებიც ასახავენ მაიაკოვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკე მომენტებს.

დულევოს ფაიფურის ფაბრიკამ სახლ-მუზეუმს გამოუგზავნა ფაიფურზე შესრულებული მაიაკოვსკის იშვიათი სურათი.

მირზა ფატალი ახუნდოვის ძეგლი თბილისში

თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა აგოს თბილისში მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის მწერლისა და დიდი მოაზროვნის მირზა ფატალი ახუნდოვის ძეგლი. ძეგლი დაიდგმება განსვენებულის საფლავზე (თბილისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორია).

ძეგლის პროექტის დასამუშავებლად გამოცხადებულია დახურული კონკურსი, რომელშიც გარდა სხვა მსურველებისა მონაწილეობას მიიღებენ მოქანდაკე ვ. თოფურიძე და არქიტექტორები— გ. ტერ-მიქელოვი, ზ. ქურდიანი და გოზალოვი. საკონკურსო პროექტების შესაძენად გადადებულია 10.000 მანეთი, ხოლო ძეგლის ასაგებად—130.000 მანეთი.

საკონკურსო ჟიურის თავმჯდომარედ გამოყოფილია თბილისის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ი. ჟუჟიაშვილი.

თბილისის საოპერო თეატრის სოლისტების გასტროლები უკრაინაში

უკრაინის ფილარმონიის მიწვევით უკრაინის ქალაქებში მიემგზავრებიან ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანდღულაძე და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ვოკალისტთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი დ. გამრეკელი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც კონცერტებში, ისე საოპერო სპექტაკლებში.

მომღერლები მიწვეული არიან ხარკოვში, კიევში, ლვოვში, ჩერნოვიცსა და ოდესაში. ისინი გამოვლენ ოპერებში—„აიდა", „კარმენ", „პიკის ქალი", „ტოსკა", „ტრავიატა", „ევგენი ონეგინი".

კიევსა და ოდესაში დ. ანდღულაძე და დ. გამრეკელი ერთად გამოვლენ ზ. ფალიაშვილის „დაისში", სადაც პირველი შეასრულებს მალხაზის, ხოლო მეორე—კიაზოს როლს.

დ. ანდღულაძის და დ. გამრეკელის საგასტროლო მოგზაურობა ერთ თვეს გასტანს.

ახალი პიესები

წელს ქართულ ენაზე დაიწერა მთელი რიგი თანამედროვე პიესები. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სარეპერტუარო განყოფილებამ უკვე განიხილა და მოიწონა შემდეგი პიესები: ვოზნესენსკის „მამები და შვილები", გადმოქართულებული ვ. წულუკიძის მიერ; ა. აფხაიძის „შეხვედრა", პიესა 4 მოქმედებად; ს. მთვარაძის „უტიფარი", კომედია 4 მოქმედებად; კ. ბუაჩიძის „ქალიშვილები", კომედია 4 მოქმედებად; დ. თაქთაქიშვილის „ოჯახი", დრამა 4 მოქმედებად; ი. ჯავახიშვილის „მსახიობის ქორწილი", კომედია 3 მოქმედებად და შ. გოცირიძის „დედა" დრამა 4 მოქმედებად. აღნიშნული პიესების ერთი ნაწილი უკვე იდგმება მიმდინარე სეზონში, დანარჩენების დადგმა განზრახულია მომავალ სეზონში.

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის სამმართველოს განმარტება

ამიერ-კავკასიის ლ. პ. ბერიას სახელობის რკინიგზის სამმართველოს სამგზავრო სამსახური იუწყება, რომ სახალხო მატარებლების მოძრაობის ახალი საზაფხულო განრიგება, რომელიც სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული იყო „კომუნისტის" 4 ივნისის ნომერში, გზათა სახალხო კომისარიატის განკარგულებით ძალაში შევა არა ა. წ. 6 ივნისიდან, არამედ 10 ივნისიდან.

ამასთან დაკავშირებით სათანადოდ იცვლება განცხადების შენიშვნის მეორე პუნქტი, რაც ასე უნდა იკითხებოდეს:

„ახალ განრიგებაზე გადასვლის გამო 9 ივნისს მატ. № 29 მოსკოვამდე და მატ. № 50 ქუთაისამდე მოხსნილია და ეს მატარებლები იგზავნება 10 ივნისს ახალი განრიგების მიხედვით. 9 ივნისს თბილისიდან ბათუმამდე იგზავნება ორი მატარებელი № 44, რომელთაგან ერთი ძველი განრიგებით, მეორე კი ახალი განრიგებით".

ესტრადის მსახიობთა II კონკურსი

საქართველოს ესტრადის მსახიობები ემზადებიან ესტრადის მსახიობთა მეორე საკავშირო კონკურსისათვის.

I ტური ჩატარდება თბილისში, საქ. ესტრადის თეატრში 12-16 ივნისს. 50-ზე მეტმა მსახიობმა გამოსთქვა კონკურსში მონაწილეობის სურვილი. მათთვის დახმარების აღმოსაჩენად გამოყოფილი არიან კონცერტმეისტერები, რეჟისორი, ბალეტმეისტერი. ავტორები მ. ჯაფარიძე, ვ. პატარაია და სხვ. და კომპოზიტორები ვ. შავერზაშვილი, ა. კერესელიძე და სხვ. კონკურსისათვის ამზადებენ ახალ ნომრებს.

„მაშენკა" ქუთაისის თეატრში

5 და 6 ივნისს ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრი მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენებს აფინოგენოვის პიესას „მაშენკას", რომელმაც პიესების საკავშირო კონკურსზე მიიღო პირველი პრემია. პიესის მთავარი თემა ოჯახურ კონფლიქტზეა აგებული.

მთავარ როლებს ასრულებენ: პროფესორი ოკაემოვი—შ. პირველი, მაშენკა—მ. ფხაკაძე, ტუმანსკი—ვ. გვენცაძე, ლეონიდ ბორისოვიჩ—დ. კასრაძე, ვერა მიხაილოვნა—თ. ლევინიაშვილი, ნინა ალექსანდროვნა—ს. ვაჩნაძე, მოტია — ნ. წინამძღვარი, ვიქტორი—ან. კობალაძე და სხვ.

პიესას სდგამს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. სულიაშვილი, მხატვარია ირ. იაქაშვილი, მუსიკა — თ. ვახვახიშვილისა.

საოპერო წარმოდგენა კაპიტალის ტყვეების დასახმარებლად

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის კოლექტივი ერთსულოვნად გამოეხმაურა მოწოდებას საზღვარგარეთელი კლასობრივი ძმებისათვის, კაპიტალის ტყვეებისათვის მორალური და მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ.

თეატრთან არსებული რემედასის კომიტეტის ინიციატივით 2 ივნისს გაიმართა ოპერა „კაკო ყაჩაღი". სპექტაკლში მონაწილეობდნენ: მ. ყვარელაშვილი, ნ. ცომაია, ბუთხუზი, ლ. გვარამაძე (სახალხო არტისტი), თ. ლაფიაშვილი, შ. ცირეკიძე, ქუთათელაძე, შაპოშნიკოვი, კუხიანიძე და სხვ. ოპერას დირიჟორობდა ო. დიმიტრიადი.

მთელი შემოსავალი გადარიცხულია კაპიტალის ტყვეების მატერიალური დახმარების ფონდში.

სამტყუპი

ვანი, (საქდესი). რაიონის ცენტრალურ სამშობიარო სახლში 29 მაისს მოიყვანეს სოფელ ზედა ვანში მცხოვრები კოლმეურნე ქალი ოლია ვარლამის-ასული ნანიჩეიშვილი, რომელსაც სამი ვაჟი შეეძინა. ექიმების დასკვნით ბავშვები ჯანსაღები არიან და ნორმალურად ვითარდებიან.

ლექციები და მოხსენებები

5 ივნის, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საერთაშორისო მდგომარეობა".**

5 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ლენინის რაიკომის შენობაში (საბჭოს ქ. № 134) შესდგება პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელთა ეკონომიური განათლების სემინარის მეცადინეობა. თემა: **„სამრეწველო საწარმოს ბალანსი და მისი ანალიზი".** ლექტორი **ინწკირველი.**

6 ივნისს, საღამოს 9 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 21) შესდგება ამხ. **ფრიშენბერგის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2851459, გაცემული ისაკ სიმონის-ძე **რუსეიშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2857354, გაცემული შოთა დავითის-ძე **ქუტიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1503716, გაცემული აბდულ ყულის-ძე **ალი-ზადეს** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თეთრიწყაროს რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2851706, გაცემული ერვანდ არსენის-ძე **პაპაშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომი აცხადებს, რომ პარტსაკანდიდატო ბარათი № 1668611, გაცემული ვარლამ ვარდენის-ძე **პერანიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) აბაშის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3304035, გაცემული მირიან სტეფანეს-ძე **მიმინოშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში

5 ივნისს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში შესდგება ამხ. **ქუთათელაძის** ლექცია რუსულ ენაზე: **„სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანა — დავეწიოთ და გავუსწროთ მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიურადაც"** (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ლექციათა ციკლიდან).

6 ივნისს, საღამოს 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში ჩატარდება ამხ. **ზავრიევის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„ბისმარკი".**

ბილეთების შეძენა შეიძლება ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის ბიბლიოთეკაში.

რადიოგადაცემა დღეს

09.00—გაზეთ „პრავდის" მოწინავე; 09.15 — კონცერტი შოპენისა და ლისტის ნაწარმოებებიდან; 10.00 — წერილები გაზეთებიდან; 10.30 — საუბარი; 10.45 — კონცერტი; 11.00 — გადაცემა სკოლამდელთათვის; 11.20 — საკონცერტო ანსამბლის გამოსვლა; 12.00 — თბილისის ახალი ამბები; 13.00 — უკანასკნელი ცნობები; 17.00 — გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 17.10 — კონცერტი (ქართული ხალხური სიმღერები); 17.50 — გადაცემა პიონერ-მოსწავლეთათვის; 18.50 — კონცერტი ვებერის ნაწარმოებიდან; 19.30 — უკანასკნელი ცნობები ქართულ და რუსულ ენებზე; 19.58 — დროის შემოწმება; 20.00 — ოპერა „აიდას" ტრანსლაცია სახელმწიფო ოპერის დარბაზიდან; 00.30 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვიდან).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი, დამკვრელი (საზაფხ.), **კომკავშირელი** (საზაფხ. და ზამთრის), **26 კომ. სახ.** (საზაფხულო და ზამთრის) — **„ფრონტელი მეგობარი ქალები", დამკვრელი** (ზამთრის), **სპარტაკი და კომინტერნი** — **„ჭაბუკი ტაიგიდან", განთიადი** — **„საიდუმლო კუნძული", ვოროშილოვის სახელობის კლუბი—„კონცერტი ვალსი", ლუქსემბურგის სახ.** — **„პატარა დედა", მეცნიერება და ცოდნა—„პირველი მაისი მოსკოვში", ნავთლუღის რკინიგზის კლუბი** — **„თოჯინათა ქვეყანაში" და „ძველი ეზო", ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — **„ნარინჯის ველი".**

პ/მგ. რედაქტორის მოადგილე
გ. ჯიბლაძე

რომანიდან „დავით აღმაშენებელი"

(დასასრული)

ლეთის ხანდაკებისკენ. საეგროსა და აფხაზეთის სპათა შუბებზე გადაეხიენ.

ტყისკენ დააპირეს წასვლა, უფლისწულის მხედარნი წინ გადაეღობნენ, სცემდნენ ჰოროლებს სპანი ქართლისანი. სხვა გზა აღარა ჰქონდათ თურქებს და მიაწყდნენ მტკვრის გაყოლებით გაშლილ ჭაობებს.

გადაგლესილ კალოებსავით ლაპლაპებდნენ მთვარის სინათლეზე ისინი.

თურქებმა მალე შენიშნეს, თუ როგორ ვარდებოდნენ მათივე მეწინავენი ლაფში, წინა ტორები ჩაეფლობოდათ ჭაობში ცხენებს, მხედრები ყირაზე გადადიოდნენ, თავათაც სცვივოდნენ შიგ.

მიჰყვნენ სამივე მხრიდან მოზღვავებულნი საეგროს, აფხაზეთის, ქართლისა და ტაოს მოლაშქრენი, ახლა ხმლები გააშიშვლეს უკვე.

O

მეორე დილას სრული მყუდროება სუფევდა ბანაკში.

ნიანია ბაკურიანი დაიჭრა მსუბუქად.

მუჰამედ გრძელის ჯარიდან სამასიოდე მხედარმა ძლივს შესძლო ჭაობების გადალახვა და მტკვარს გაღმა გასვლა, მათვე ამცნეს ეს ამბავი რუსთავის ციხისთავს.

მეორე დღეს დიდი ძელი აღამართვინა მახარიამ უფლისწულის კარვის გასწვრივ, ზედ ჩამოაცვეს აბუ-მუჰამედ-ატტავილის თავი.

როცა თურქების ცხედრებისა და მათი ცხენების ლეშებისაგან ამდგარი სუნი აუტანელი გახდა, ნაშუადღევს აჰყარა უფლისწულმა ბანაკი და საირმეს ფონზე გადაიყვანა ლაშქარი.

კვირიკე და რატი ციხიდან გაიქცნენ, მაგრამ ალი-ბეჰადურმა დახშევინა ალაყაფის კარები.

ბედიის ეპისკოპოსი მიუგზავნა დავითმა ციხისთავს: ურჩია დაგვნებდიო უბრძოლოდ.

ხმალმა გაგვასწოროსო, შემოთვალეს ციხიდან.

რუსთავის გარშემო სამივე კიდეზე ძეძვები და ლიჭიანი იყო. შერგილ ლიპარტიანმა ცეცხლი გაუჩინა შემხმარ კატაბარდებს.

ექვსი დღე იერიშები მიჰქონდათ ციხეზე, მაგრამ მამაცურად იბრძოდნენ მეციხოვნენი, ჩამოეგებებოდნენ ციხიდან, ეკენწლავებოდნენ გარს მომდგართა, ისევ დახშავდნენ ბჭეებს ციხისას.

ბოლოს დაიწყო რუსთავის გარემოცვა. ციხის გარშემო ორმწკრივად გავლებული იყო ხანდაკები, ნიანიამ ძელები გადააღებინა ზედ, ფილაკავანები და ვერძები გადაიყვანა თხრილებზე.

უფლისწულმა ბრძანა და ოთხივე გალავანს მიაყენეს ფილაკავანები და ვერძები, სცემდნენ დაუცხრომლად ლოდებს.

ღამღამობით, შუბოსანი მეციხოვნენი გამოდიოდნენ, გადმოდგებოდნენ სერებზე, ასტეხდნენ ღრიალს, ისევ გარბოდნენ უკან.

ბოლოს ჰყონდიდელის თათბირი მოიგონა დავითმა.

სამხრეთის კედელზე მიაყენეს ვერძები და სასტიკად დაუშინეს ფილაკავანებიდან ლოდები.

ვერძები[1] ბურღავდნენ გალავანს, ნელ-ნელა იბზარებოდა კედელი, ამ გაბზარულზე უშენდნენ ლოდებს. ასიოდე მამაცმა მეომარმა იფარა ფარები, ხოხვით მივიდნენ კედლის ძირამდის და დაიწყეს წერაქვებით ბალავრის თხრა.

ისევ დაუშინეს ვერძები და გადაწვა სამხრეთის კედელი გრუხუნით დაეცა მიწაზე.

მაშინ უფლისწულმა ბრძანა არავინ შესულიყო ციხეში, კარვებში მიბრუნებულიყვნენ სპანი და ყოველშემთხვევისათვის ყოფილიყვნენ მზად.

ციხისთავი დაიბნა, მას არ ესმოდა, რად არ შემოდიოდა უფლისწული ციხეში?

სამ დღეს კარვებში იდგა ლაშქარი; პირველი თოვლი მოვიდა და ციხისთავმა გამოგზავნა ციხის კლიტენი.

უფლისწულმა ჰერეთელები, მთიულები და შირვანელები შეიწყალა, ხოლო დატყვევებულ თურქთა ბორკილები დაადვეს ქედზე.

ციხისთავს ალი-ბეჰადურს სამოცჯერ ჰკრეს უკანალზე ტაჯგანაგი[2].

O

ზამთრდებოდა. მშვილდოსანის ზოდიაქოდან გამოსული მზე თხის რქისას უახლოვდებოდა უკვე.

მოსთოვა რუსთავში.

უფლისწულმა მეციხოვნენი ჩააყენა ციხეში, თავათ აყრას აპირებდა, ვეჟინს წასასვლელად ლაშქრითურთ, შუაღამეს მალემსრბოლი მოვიდა.

ჰყონდიდელი იუწყებოდა:

პირველი თოვლი მოვიდა თუ არა ვეჟინში, გიორგი მეფეს ეშვზე ნადირობა მოენატრა, ალყა შემოხსნა ციხეს და აჯამეთს წავიდაო ლორზე სანადიროდ გუშინ.

დავითი შეაძრწუნა ამ ამბავმა, თავის სიცოცხლეში ეს პირველად წაეკიდა მამის უსაქციელობის გამო ბრაზი, აჰყარა სასწრაფოდ ლაშქარი, სამგორზე წამოსული ქვახერელთან მიეწია ჰყონდიდელსა და მის ჯარს.

---

[1] ვერძი—მანქანა გალავნის საბურღავი, რომელსაც ვერძისებრი ხორთუმები ჰქონდა.

[2] ტაჯგანაგი—დიდი მათრახი.

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის
სახელმწიფო თეატრი
1941-42 წ.წ. სეზონი
5 და 6 ივნისს პრემიერა
ა. აფინოგენოვი
მაშენკა
3 მოქმ. თარგმანი გ. სულიაშვილისა და ს. ოყრეშიძისა
დადგმა—გ. სულიაშვილის (საქ. სსრ ხელოვ. დამს. მოღვაწე), მხატვარი—ირ. იაქაშვილი, კომპოზიტორი—თ. ვახვახიშვილი (საქ. სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწე), დირიჟორი - გ. მარჯანიშვილი, რეჟ. თანაშემწე—გ. ჟიბუტი.
12146

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო
თეატრი
1940-41 წ.წ. სეზონი
5 ივნისს
ჭიქა წყალი
6 ივნისს
უდანაშაულო დამნაშავენი
7 ივნისს
უკანასკნელი რაინდი
დასაწყისი საღ. 8 ს. და 30 წ.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,
რომ ა. წ. 25 ივნისს, საღამოს 8 საათზე (მარის ქ. № 1, აუდ. № 120) გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ. სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **ქეთევან შალვას-ასული ნუცუბიძე** დაიცავს დისერტაციას გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„დასავლეთ საქართველოს ქვედა ცარცის ბრაქიოპოდები".**
ოფიციალური ოპონენტები: აკადემიკოსი **ალ. ი. ჯანელიძე,** მეცნ. კანდ. დოც. **ივ. რ. კახაძე.**
დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
15
თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი დ. უიფშიძე.

კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი
1940-41 წ.წ. სეზონი
5 ივნისს
მარგარიტა გოტიე
6 ივნისს
სერია მე-3 აბ. მე-9 წარმ.
რუი ბლაზ
დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მესამე საფერშლო სკოლა
აცხადებს მოწაფეთა მიღებას 1941-42 სასწ. წლისათვის.
სკოლა ამზადებს ექიმის თანაშემწეებს ფერშლის წოდების მინიჭებით.
სასწავლო ხანგრძლივობა სამი წელიწადი. მიღებული მოწაფეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით. სკოლაში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 15-დან 35 წლამდე, რომელთაც აქვთ შვიდწლედის დამთავრების მოწმობა. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან შვიდწლედის კურსდამთავრებული ფრიადოსნები და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.
გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: ქართული ენა (წერა და ზეპირი), რუსული ენა, მათემატიკა (წერა და ზეპირი), გეოგრაფია, ისტორია.
განცხადებები მიიღება 23 აგვისტომდე. გამოცდები იწარმოებს 25 აგვისტოდან.
განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას: განათლების მოწმობა (დედანი), მეტრიკული ამონაწერი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ორი ცალი შემოწმებული ფოტოსურათი.
გამოცდებზე გამოცხადებისას წარმოდგენილ უნდა იქნას პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი საბუთი.
სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს.
აღნიშნული სკოლის ფრიადოსან კურსდამთავრებულთ უფლება ეძლევათ ჩაირიცხონ სამედიცინო და ყველა ტიპის ინსტიტუტში. განცხადების მიღება სწარმოებს 23 აგვისტომდე, ყოველდღე დილის 9 საათიდან 5 საათამდე.
მისამართი: ქ. თბილისი, კონსტიტუციის ქ. № 4, ვენერელოგიური და დერმატოლოგიური ინსტიტუტი, ოთახი № 7.
228 დირექცია.

შვილი ლევან, რძალი ნუნუ, შვილიშვილები ლუტუ და რეზო იუწყებიან
გაიოზ კუპრეიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 5/VI 6 ს. გამოსვენება მაიაკოვსკის, 37. 12153

ქმარი ნიკიფორე, შვილები კოლია ცოლშვილით, ეფროსინე, არეთა ქმარშვილით, ისიდორე, ტრიფონ შავლაყაძეები ცოლშვილით, კატო ქმარშვილით იუწყებიან
ქრისტინე შავლაყაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. კუხში 5/VI. 12154

მეუღლე მართა, შვილები შალვა, ილია, გრიშა, დათიკო, ვანო, ბაბილინა. იუწყებიან
ამბაკო იოსებ-ძე დუნდუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას ს. ილორში. 12161

სონა და ილია ქავთარაძეები შვილებით: ნათო, ზოია, სულიკო და სიძით ვალოდია ჯიბუტით იუწყება
ეკატერინე გიორგის-ასულ მინდიაშვილის
გარდაცვალებას. 12160

დედა აღათი, ძმა ლადიკო, შვილები ვალენტინა, ლოლა, თინა, მარგუშა, ზინა, სიძე კარლო ბუაძე შვილებით იუწყებიან, რომ 8/VI 5 ს. ქ. ტყიბულში დანიშნულია
იაკინთე ნიკოლოზის-ძე ჩხეიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 12156

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიტოპათოლოგიის კათედრის თანამშრომლები ყანჩაველი, ერისთავი, ხაზარაძე, ვარდოსანიძე, გვრიტიშვილი, ჰელიძე იუწყებიან
ალექსანდრე ირაკლის-ძე თაყაიშვილის
გარდაცვალებას. 12157

მარო, ეუნია, ნორა ანდღულაძეები, ქეთო, კაკო ხინთიბიძეები, მარუსია, ვანო, ალექსანდრე ჯაბუები იუწყებიან
ნინო (ნანია) იაგორის-ასულ ქავთარაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5/VI ს. ხიდისთავში. 12155

საქ. მიწსახკომის ვეტერინარული სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან უფროსი ვეტინსპექტორის
ვალერიან ისაკის-ძე ბარამიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 6/VI, 7 საათზე, მარის ქ. № 17. 12163

სსრ კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის
თბილისის საჩვენებელი უნივერმაღი
დღეიდან გადავიდა განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე როგორც ქალაქ თბილისში, ისე ქალაქ ქუთაისში არსებული ყველა თავისი ფილიალით
ყველა მაღაზია ღიაა **დილის 10 საათიდან საღამოს 7 საათამდე.**
მისამართები:
ცენტრალური უნივერმაღი—ჟორესის ქუჩა № 7.
ფილიალი № 1—კარლ მარქსის მოედანი № 2/8.
ფილიალი № 2—რუსთაველის პროსპექტი № 4.
ფილიალი № 3, რომელიც ვაჭრობს მხოლოდ ავეჯეულობით—პლეხანოვის პროსპ. № 147.
ფილიალი № 4, რომელიც ვაჭრობს მხოლოდ საფეიქრო საქონლით,—პუშკინის ქუჩა № 5.
ფილიალი № 5, რომელიც ვაჭრობს მხოლოდ ფეხსაცმლით,—რუსთაველის პროსპ. № 34.
ყველა ფილიალში სხვადასხვანაირი საქონლის უდიდესი არჩევანია.
150 2—1

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების თანამშრომლები იუწყებიან
გაიოზ კუპრეიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში. 12162

საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი, პარტიული ბიურო და ადგილკომი იუწყებიან უფროსი ვეტინსპექტორის
ვალერიან ისაკის-ძე ბარამიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება მარის ქ. № 17. 12163

ცოლი ელენე, შვილები მიშა, ლილი, დოდო იუწყებიან
ვალერიან ისაკის-ძე ბარამიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 5, 6/VI 8 ს. გამოსვენება 7/VI 7ს. მარის, 17, ვაკის სასაფლაოზე. 12164

მე-4 მუსიკალური სკოლის და სასწავლებლის პედაგოგები და ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალი იუწყებიან
ეკატერინე მინდიაშვილის
გარდაცვალებას. 12159

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებული მთავარი საგზაო სამმართველოს თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება
ნინო იაგორის-ასულ ქავთარაძის
გარდაცვალებას. 12158

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3—62—26; პ/მგ. რედაქტორის მოადგილისა — 3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3—81—84; სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40; ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის — 3—80—84; სამხედროსი — 3—57—61; წერილების — 3—73—24; პ/მგ. მორიგისა და გამომშვების — 3—81—65; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ., № 28. 1 უე 18230